სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 24 ივნისი 2008 №143 (3367) ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

დემეს თოფებს არ აკარებენ

არ ვარჯიშობს თუ არ ავარჯიშებენ?

3

ბაზა თვალის ერთი გადავლებით

4

შვიდკაცას ბედის მოსკოვში წყდება

ქართველებმა კალენდარი გაიტანეს

12

სადა ვფანაობთ...

მორჩება ევროპა და დაგვრჩება საქართველო

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო



ბადრი კეთილაძის ფოტო

არც ისე ძველი ამბავია: თბილისში ჩამოსულ „სკუადრა აძურას" აეროპორტში ქართველ გულშემატკივართა ერთი ჯგუფი იტალიის დროშებითა და „ფორცა იტალიას" ძახილით დახვდა. სიმართლე გითხრათ, არც ვიცით, იმ დახვედრიდან ორი დღის მერე საქართველო-იტალიის მატჩისას ვის გულშემატკივრობდნენ ის ახალგაზრდები.

ეს ძველი ამბავი ახლანდელმა გაგვახსენა — თბილისი ხომ ფანკლუბების ქალაქია...

ნაირფერ ფორმებში გამოწყობილ, სახეშეღებილ და დროშებმოფრიალე ქართველ გულშემატკივრებს შეუძლიათ თქვან, რომ საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე არ თამაშობს და, შესაბამისად, ისინიც სხვათა მხარდამჭერები არიან.

არიან და, ვერც გაამტყუნებ, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ნაკრები ხომ მართლა არ თამაშობს ევროპაზე...

ასეა, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, ივნის-ივლისში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების დღეებია, ეს ის დროა, ქართული ფეხბურთი და სხვა სახეობებიც აქტუალურობას რომ კარგავენ ხოლმე. არადა, ქართულ ფეხბურთში ამბები ამ ივნის-ივლისშიც ხდება.

ორი დღის წინ იყო, საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის მომგებ „მალაროელს" უმაღლესში თამაშის უფლება რომ ჩამოართვეს, რაკი უსახსრობის გამო ლიცენზია ვერ მიიღო, გამოთავისუფლებული ადგილი კი „გაგრამ" დაიკავა.

გუშინ კი ახალი ცნობა მივიღეთ: სეზონის საუკეთესო ბომბარდირი, დინამოელი მიხეილ ხუციშვილი აზერბაიჯანულ „ოლიმპიკში" გადავიდა.

„დინამო" და „ოლიმპიკი", საქართველო და აზერბაიჯანი — წმინდა სპორტული თვალსაზრისით ხუციშვილმა ნაბიჯი უკან გადადგა მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ ფეხბურთი ფულიცაა, ხოლო ფულით საქართველო აზერბაიჯანს კონკურენციას ვერ უწევს.

ახლა, როცა ევროპის ჩემპიონატზე სამი უმთავრესი თამაშიღა დარჩა, თბილისში კი ფანკლუბების ბუმია, ეროვნული ამბები ჩრდილშია მოქცეული. ხუთი დღეც და, ევროპის ახალი ჩემპიონი შინ ანრი დელონეს თასს წაიღებს, ჩვენი პრობლემები კი მეტი სიმძაფრით გამოჩნდება.

ახლა ვისი ჯერია?

როჯერი ვეღარ არის მხიარული, მხიარული ტრიბუნა იქნება

გუშინ ლონდონის გარეუბანში უიმბლდონის ტურნირი დაიწყო — უდიდესი სლემტურნირთა შორის.

უიმბლდონს როდის ჰკლებია ყურადღება, მაგრამ წლევანდელი შეჯიბრი მაინც გამორჩეულია იმათგან, ბოლო წლებში რომ იყო. აბა, როგორი საქმეა, მიჯრით ხუთი წელი წინდაწინ ვიცოდით, კაცთა ჩემპიონი როჯერ ფედერერი რომ უნდა გამხდარიყო, იმდენად დიდი გახლდათ „მხიარული როჯერის" უპირატესობა ყველა დანარჩენზე. ჰოდა, რაა სპორტი ინტრიგის გარეშე...

წლეულს კი ისეა, რომ შვეიცარიელს აღარ თვლიან ჩემპიონატის ერთადერთ ფავორიტად, რაკილა გვარიანად ჰყავთ შევიწროვებული ნოვაკ ჯოკოვიჩსა და რაფაელ ნადალს.

მსგავსი ამბავია ქალთა ბადეშიც, რადგან ბოლო რვა წელიწადში უიმბლდონის ექვსჯერ მომგები სერენა და ვინუს უილიამსები ვეღარ უილიამსობენ და კნაჭა ბელგიელი ჟუსტინ ენინიც წავიდა სპორტიდან.

ახლა უმთავრესი ფავორიტები რუსი მარია შარაპოვა და სერბები, ანა ივანოვიჩი და ელენა იანკოვიჩი არიან, ოღონდაც სამივემ უიმბლდონის წინა ტურნირებზე თამაში იუარა და კაცი ვერ იტყვის, მათგან რომელია უკეთეს ფორმაში.

ერთი სიტყვით, უიმბლდონი დაიწყო და ორი კვირის თავზე ჩემპიონებიც გვეცოდინება. ქართველთაგან კი, შეგახსენებთ, ირაკლი ლაბაძემ და მაკა ჩახნაშვილმა ძირითად ბადეში ვერ გააღწიეს.

საბედნიეროდ, გადავრჩით...

ოთარ მარცვალაძე და მისი ძმა უკეთ არიან



ფოტო დოკუმენტალურია

ცუდი ამბავი შეემთხვა საქართველოს ნაკრების თავდამსხმელ ოთარ მარცვალაძეს — ავარიაში მოჰყვა. სადღეისოდ ოთარის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თავს უკეთ გრძნობს, თუმცა, სულ ცოტა, ორი თვე ვერ შეძლებს ვარჯიშის დაწყებას. მანქანაში ოთართან ერთად მისი ძმა, ყოფილი ფეხბურთელი ალექსანდრე შეყრილაძე იჯდა და ახლა მისი ჯანმრთელობაც უკეთაა. ოთარ მარცვალაძეს გუშინ შევეხმიანეთ...

— უკვე საშიში არაფერია. ნელ-ნელა უკეთესობა მაქვს და საავადმყოფოდანაც გამომწერეს. სველი გზა იყო და მანქანა მოცურდა... საბედნიეროდ, გადავრჩით...

— ტკივილები კიდევ გაწუხებს?

— იმდენად აღარ. კისრის მოტრიალება მიჭირს და ერთი-ორი თვე ალბათ დამჭირდება ბოლომდე გამოსაჯანმრთელებლად.

— შენი ძმა როგორ არის?

— ნეკნები ტკივა, მაგრამ დღითიდღე მასაც უკეთესობა აქვს...

— მოკლედ, ფეხბურთზე ფიქრი ჯერ ადრე ჩანს...

— ახლა ფეხბურთზე და ჩემს მომავალ კლუბზე ვერც ვფიქრობ და ასეც რომ იყოს, ვარჯიში მაინც არ შემიძლია. იმედია, მალე გამოვჯანმრთელდები და მერე ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

— კიევის „დინამოს" საკუთრება ხარ და იქ თუ იციან, ასეთი ამბავი რომ შეგემთხვა?

— კი, კიევში ყველაფერი იციან. მათაც მალე გამოჯანმრთელება მისურვეს და დანარჩენი მერე გაირკვევა...

— კეთილი. ჩვენც სწრაფ გამოჯანმრთელებას გისურვებთ!

— დიდი მადლობა.

ბახა შალამბერიძე

დინამო 2 და 2 ქართველი

უკრაინის პირველი ლიგის ბოლო ტურში, კიევის „დინამო 2"-ის შემადგენლობაში ორმა ქართველმა ფეხბურთელმა, მცველებმა, დავით იმედაშვილმა და თემურ ფარცვანიამ ითამაშეს.

კიეველები „იგროსერვისთან" 2:3 დამარცხდნენ.

ფარცვანიამ პირველი ტაიმი ითამაშა, ხოლო იმედაშვილმა 25 წუთი.

17 წლის ფარცვანია საქართველოშია დაბადებულ-გაზრდილი და სამი წელია, კიევში ცხოვრობს. იგი უკრაინის მოქალაქეა და ამ ქვეყნის 17-წლამდელთა ნაკრებში უკვე 5 მატჩი ჩაატარა.

რაც შეეხება იმედაშვილს, მისი სატრანსფერო უფლებები ჯერაც კიევის „დინამოს" ეკუთვნის.

„დინამო 2"-მა პირველ ლიგაში მე-5 ადგილი დაიკავა.

ბახა შალამბერიძე

ტოპმიოლერი ჩეხეთის ნაკრებშიო

დიახ, ეს ამბავი თითქმის უკვე გადაწყვეტილია.

გეცოდინებათ, კლაუს ტოპმიოლერს ამ ორიოდ კვირის წინ განის ნაკრების მწვრთნელობის მთავარ კანდიდატად მიიჩნევდნენ, მაგრამ გარიგება არ შედგა და ტოპის ჰორიზონტზე ჩეხეთი გამოუჩნდა.

მხცოვანი კარელ ბრიუკნერი ჩეხეთის მწვრთნელობიდან გადადგა და იქაური ფეხბურთის ფედერაციის ფავორიტი თავიდან მათიას ზამერი გახლდათ, თუმც გერმანიის ნაკრების ყოფილმა ლიდერმა უარი თქვა. და აი, ჩეხეთის ფეხბურთის მამებს საქართველოს ნაკრების ექსმწვრთნელთან უკვე დაუწყიათ მოლაპარაკებები.

ჰერ კლაუსის ჩეხეთში დანიშვნის შანსი გაიზარდა, რაკიღა ამ პოსტზე მის კონკურენტად მიჩნეული იან ჰაშეკი ერთ-ერთ არაბულ გუნდში მიდის სამუშაოდ.

ილია ნანოგაშვილი

თბილისის „ლოკომოტივმა" ერთი ნაბიჯი გადადგა

რუსული „სატურნისკენ", ანუ სტუმრად ლუქსემბურგის „ეტცელას" 0:0 დაუზავდა და შინ უნდა მოუგოს. კარგად ვიცით, რომ ქართული ფეხბურთისთვის ევროსარბიელზე სუსტი მეტოქეები არ არსებობენ, მაგრამ ლუქსემბურგული ბარიერის ვერგადალახვა უკვე ნამეტანი იქნება. ასე ფიქრობს „ლოკომოტივის" მარჯვენა მცველი დაჩი ფოფხაძეც, ვერ წარმომიდგენია, ვერ მოვიგოთო...

ფოტო ალექსანდრე ფილიპეცოვის

დაჩი ფოფხაძე: ჩახუთულობამ თამაშიც ჩახუთა

— სანახაობრივად კარგი თამაში არ იყო. როგორც საქართველოს ჩემპიონატის უმეტეს მატჩებში, დაბალტემპიანი და წყნარი თამაში გამოვიდა. თუმც ამის მიზეზი სიცხე და აუტანელი ჩახუთულობა იყო.

— უპირატესობას „ლოკომოტივი" ფლობდა?

— მეტწილად, კი. ეგაა, თავიდან 5 წუთი შემოგვიტიეს და მეკარე ზურაბ ბათიაშვილმა ძნელი ბურთი მოიგერია. მერე დავლაგდით, ბურთს ვაკონტროლებდით. შესვენებამდეც და მეორე ტაიმშიც, რატი ალექსიძეს ჰქონდა ორი მომენტი, ვიტალი დარასელიასაც შეეძლო გატანა. არაუშავს, თბილისში გავიტანთ და მოვიგებთ კიდეც.

— ალბათ, თითქმის ცარიელი ტრიბუნების წინ გიწევდათ თამაში...

— 500-600 გულშემატკივარი იყო.

— სხვაც ვთქვათ: სეზონისწინა შეკრებას სად გაივლით?

— „ეტცელასთან" მატჩამდე „ლოკომოტივის" ბაზაზე ვივარჯიშებთ. არა მგონია, მანამდე ტესტ-მატჩი გვქონდეს. თუ ამ ეტაპს გავივლით, 5 ივლისს უკვე „სატურნს" ვმასპინძლობთ და ამდენად, აღარ ვიცი, შეკრება როდის და სად გვექნება.

— ლევან ცქიტიშვილი „ლოკომოტივში" არ ჩანს. უკვე საბოლოოდ დაგშორდათ?

— ვერაფერს გეტყვი... ჩვენთან არც გამოჩენილა და არც უვარჯიშია...

ილია ნანოგაშვილი

ფოტო ალექსანდრე ფილიპეცოვის

ზარიამ ერთი გამოაჩინა

უკრაინულმა ლუგანსკის „ზარიამ" და მისმა ქართველმა ფეხბურთელმა გიორგი ციმაკურიძემ პირველი ამხანაგური შეხვედრა ზაპოროჟიეს „მეტალურგთან" ჩაატარეს. შეხვედრაში, რომელიც 2:2 დასრულდა, ქართველმა მცველმა მეორე ტაიმი ითამაშა.

„ზარიას" კიდევ ერთი ქართველი ლადო ბურდული არ გამოჩენილა.

ბახა შალამბერიძე

ადამია ნიტრაზე

ინტერტოტოს თასის პირველ ეტაპზე, შინ სლოვაკური „ნიტრას" 2:0 დამარცხების შემდეგ ბაქოს „ნეფთჩის" ქართველმა ფორვარდმა გიორგი ადამიამ განაცხადა, რომ მიუხედავად გამარჯვებისა, მეტოქის შესაძლებლობებში სათანადოდ ვერ გაერკვა.

„ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით, რომელთა რეალიზება, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ და მხოლოდ ორი გოლი გავიტანეთ. ვფიქრობ, ცუდი შედეგი არ გვიჩვენებია, მაგრამ მეტოქის შესაძლებლობებში ბოლომდე ვერ გავერკვიეთ" — თქვა ადამიამ.

ამ შეხვედრაში ქართველმა თავდამსხმელმა შეუცვლელად თამაშა. „ნეფთჩის" ძირითადში იყო გიორგი ჭელიძეც, რომელიც 63-ე წუთზე შეცვალეს.

ბახა შალამბერიძე

გიგიაძე ისევ რეზერვშია

სიმფეროპოლის „ტავრიასთან" ერთად ავსტრიაში შეკრებაზე მყოფმა ვასილ გიგიაძემ მორიგი ამხანაგური მატჩი კვლავ სარეზერვო შემადგენლობაში ჩაატარა.

სიმფეროპოლელთა სარეზერვო შემადგენლობა ავსტრიის მეორელიგელ „გრედიგს" შეხვდა და 1:2 დამარცხდა.

გიგიაძემ შეუცვლელად ითამაშა.

ბახა შალამბერიძე

თარგამაძე გერმანიის ჩემპიონია!

აი, წარმატებაც: დავით თარგამაძემ გერმანიის 19-წლამდელთა ბუნდესლიგა მოიგო. მისმა „ფრაიბურგმა" თავის ზონაში მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ პლეიოფში სხვა ზონის გამარჯვებულ „კიოლნს" 3:1, 2:2 სძლია და ფინალში გავიდა.

ფინალში თარგამაძის გუნდს „ვოლფსბურგი" ელოდა, თანაც, შეხვედრა „ფოლკსვაგენ არენაზე" გაიმართა. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია „ფრაისთვის" და მათ 2:0 იმარჯვეს. მატჩს 4 500 მაყურებელი დაესწრო, ხოლო „ვოლფსბურგის" თავკაცი ფელიქს მაგათი კომენტატორი გახლდათ.

თარგამაძე 79-ე წუთზე შეცვალეს, მეორე გოლი კი მისი წამოწყებული შეტევისას გავიდა.

ალბათ შორს არაა დრო, როცა თარგამაძე ბუნდესლიგაში შეაბიჯებს...

ილია ნანოგაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილება სამძიმარს უცხადებს მსაჯ კობა სადილიანს

მამის

გარდაცვალების გამო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილება მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მსაჯი

მურთაზ მირცხულავა

სალუქვაძე-კვირკველიას ჯამური ოთხმოცდაათი

ყაზანის „რუბინმა" ავსტრიის ქვედალიგელ „ფიოკლაბუკთან" ტესტ-მატჩი 1:1 დაასრულა.

ლაშა სალუქვაძემ და დავით კვირკველიამ ჯამში 90 წუთი ითამაშეს — ლაშა ძირითადში იყო და მე-60 წუთზე შეცვალეს. კვირკველიაც სწორედ ამ დროს შევიდა მინდორზე.

რაც შეეხება ნუკრი რევიშვილს, მას თამაშმა არ მოუწია — კოზკოსა და რიჟიკოვის კონკურენციის დაძლევა ქართველ მეკარეს ძალიან გაუჭირდება.

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

აფრიკა. IV ტური. III ჯგუფი

ანგოლა 0:0 უგანდა

შვედეთი

სუპერლიგა. XII ტური

ატვიდაბერგი 2:1 ენჩოპინგი
ბუნკეფლო 0:3 ვასბიუ
დეგერფორსი 0:0 ძვიდინგი
იონჩოპინგი 2:2 სირიუსი
მიალბი 0:2 ჰეკენი
იორგრიტე 5:0 ბრომაპოიკარნა

მიხეილ ხუციშვილმა აზერბაიჯანი აირჩია

მიხეილ ხუციშვილი

აზერბაიჯანულმა „ოლიმპიკმა“ ქართველი თავდამსხმელი, მიხეილ ხუციშვილი გადაიბირა.

ხუციშვილი თბილისის „დინამოსთან“ ერთად საქართველოს ჩემპიონი გახდა, გარდა ამისა, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობაც არავის დაუთმო და პეტარ სეგრტმა საესტონეთ-საპორტუგალიოდ ეროვნულ ნაკრებშიც კი გამოიძახა, თუმცა ამის მიუხედავად, „დინამომ“ და ფეხბურთელმა დაშორება გადაწყვიტეს.

აზერბაიჯანელი ჟურნალისტების ცნობით, ბაქოურმა კლუბმა და ქართველმა ფეხბურთელმა მოლაპარაკება უკვე დაასრულეს. იგივე გვითხრეს ხუციშვილის ოჯახშიც...

აქვე გეტყვით, რომ გასულ სეზონში „ოლიმპიკმა“ აზერბაიჯანის ჩემპიონატში მე-2 ადგილი დაიკავა.

კახა შალამბერიძე

ელიავას მეორე ტაიმი

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და რიგის „სკონტოს“ მცველმა ზაალ ელიავამ, რომელიც პოლონურ შეკრებაზე პერმის „ამკარს“ ახლავს, მეორე ამხანაგური მატჩი ჩაატარა.

პერმელები პოლონურ „გროცლინს“ შეხვდნენ.

მატჩი 2:2 დასრულდა, ელიავამ კი მეორე ტაიმი ითამაშა.

კახა შალამბერიძე

დემეს თოფებს არ აკარებენ

გიორგი დემეტრაძეს ვარჯიში სანატრელი გაუხდა

კიევის „არსენალის“ მწვრთნელმა ალექსანდრ ზავაროვმა ის სამი ფეხბურთელი ჩამოთვალა, რომლებიც კლუბს მალე დატოვებენ და მათ შორის, გიორგი დემეტრაძეც დაასახელა. სავარაუდოდ, „დემე“ მართლაც წავა „მეთოფეებიდან“, ოღონდ ისეთი პირი უჩანს, ცოტა სკანდალურად...

საქმე კი რაშია: გიორგის „არსენალში“ ვარჯიშს უკრძალავენ!

დემეტრაძეს კონტრაქტი გაისად ზაფხულში უმთავრდება, „არსენალს“ კი კონტრაქტის გაწყვეტა სდომებია და ამის გამო, ქართველი ვარჯიშებზე არ ცხადდებაო.

უკრაინელი ჟურნალისტები სიტუაციას გაეცვნენ და აღმოჩნდა, რომ დემეტრაძე თვითონ კი არ უარობს „არსენალში“ ვარჯიშს, არამედ კლუბმა აუკრძალა.

აი, რას ამბობს საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი:

„პრობლემა შემექმნა კლუბთან. ჩემი ვალდებულებების შესრულების საშუალებას არ მაძლევენ, გუნდში სავარჯიშოდ არ მიშვებენ. „არსენალის“ ვიცე-პრეზიდენტს ველაპარაკე, ან მომეცით ვარჯიშის ნება, ან ოფიციალური შეტყობინება გამომიგზავნეთ, რატომ არ მაქვს გუნდთან ყოფნის უფლება-მეთქი... ...ალბათ, ჩემთან დაშორება უნდათ, მაგრამ კლუბთან მოქმედი კონტრაქტი მაქვს და მიხადონ ფული, სანამ არ დამიმთავრდება — ასეა წესი. მათ კი ეს არ უნდათ. საქმის მოწყობა ისე სურთ, თითქოს თვითონ მე ვუარობ ვარჯიშს და კონტრაქტის პირობებს არ ვასრულებ...

...უკრაინის პროფესიული ფეხბურთის ლიგის განაჩენს ველი. ამ საქმის თაობაზე მე უკვე ყველა საბუთი გადავეცი შესაბამის სტრუქტურებს. ისე, „არსენალში“ პოლ ესოლასაც ასე ექცევიან და საერთოდ, ამ გუნდში ასეთი შემთხვევა პირველი არ არის. ვერ გამიგია, რა ხდება...“

ვნახოთ, როგორ გაგრძელდება ეს საქმე...

სხვათა შორის, ესტონეთ-პორტუგალიასთან სანაკრებო მატჩებისთვის გიორგი დემეტრაძე პეტარ სეგრტის გუნდში არ ჩამოსულა. ნაკრების ხელმძღვანელობამ მაშინ გვითხრა, „დემეს“ სეზონის მერე დასვენება სჭირდებაო, არადა, ქართველს „მეთოფეებში“ ზამთარს აქეთ თითქმის არ უთამაშია. ეტყობა, დასვენებაში კლუბთან საქმის გარკვევა იგულისხმებოდა...

ილია ნანოგაფშვილი

გაბონმა სასწაული ვერ გაიმეორა

ათი დღის წინ გაბონმა აფრიკის თასის შესარჩევ ჯგუფში შინ განას 2:0 სძლია, თუმც ოთხგუნდა ჯგუფის მეოთხე ტურში სასწაული ვეღარ გაიმეორა — განაში 0:2 წააგო, რის შემდეგაც ოთხ მატჩში ოდენ ერთი მოგება აქვს სამი მარცხის პირისპირ.

გაბონი მესამე ადგილზეა ჯგუფში და ძალიან გაუჭირდება ლიბიის, განსაკუთრებით კი, განის გადასწრება.

მიკაელ ესიენისა და კომპანიის წინააღმდეგ გაბონის ნაკრების თავკაცმა ქართველთათვის ნაცნობი ოთხი ფეხბურთელი შეუცვლელად ათამაშა: კაპიტანი პოლ ულრიხ კესანი („ზესტაფონი“), ერნესტ აკუასაგა („ოლიმპი“), დიდიე ოვონო („დინამო“), ჟორჟ აკირემი („დინამო“).

აკირემიმ ყვითელი ბარათიც მიიღო.

ილია ნანოგაფშვილი

ოთხშაბათს 14 საათზე საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში გაიმართება ეროვნული ჩემპიონატის 2008-2009 წლების უმაღლესი ლიგის კენჭისყრა და შედგება ჩემპიონატის კალენდარი.

პროფლიგის პრესამსახური

ბაბუი ფეიერაბენდი

შოთა არველაძე: მფრინავ ჰოლანდიელებს რუსებმა გადაუფრინეს

„სიკვდილის ჯგუფს“ სამი მოგებით და 9:1 ბურთების შეფარდებით რომ დაასრულებ და მერე თითქმის უშანსოდ აგებ, თან აღიარებ, რომ მეტოქემ ფეხბურთის გაკვეთილი ჩაგიტარა, მგონი, კომენტარიც ზედმეტია — დიახ, რუსეთის ნაკრებმა ჰოლანდიელებს შავი დღე აყარა და ზოგიერთნი მათ უკვე ევრო-2008-ის ფავორიტადაც თვლიან. ახლა კი... რუსეთის ნაკრები შოთა არველაძის თვალით. რუსული „სპორტ-ექსპრესი“ რუსეთ — ჰოლანდიის ნამატჩევს დაუკავშირდა საქართველოს ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ფორვარდს...

— თქვენ გვითხარით, რომ „მფრინავი ჰოლანდიელების“ გარდა, „მფრინავი რუსების“ არსებობაც დაინახეთ. თითქოს წყალში იყურებოდით...

— მათი არსებობა, პირველ რიგში, გუს ჰიდინკმა დაინახა. რუსეთის ბოლო ორი მატჩი რომ ავიღოთ, ეს გუნდი საუკეთესოა ევრო-2008-ზე. შაბათამდე ამას ჰოლანდიელებზე ამბობდნენ, ახლა კი იგივე უნდა ითქვას რუსებზე. მგონი, ასეთი გუნდი არასოდეს გყოლიათ. სისწრაფე, ხარისხი, დისციპლინა, გუნდური თამაში, მომენტები...

— ჰოლანდია — რუსეთმა 1998 წელს გამართულ „აიაქსი“ — „სპარტაკი“ (1:3) არ გაგახსენათ?

— მხოლოდ ანგარიშით გამახსენა. მაშინ ასეთი სისწრაფე არ იყო. „სპარტაკში“ კლასიანი ფეხბურთელები იყვნენ და ამის შესახებ ვიცოდით კიდეც, თუმცა ტაქტიკური შეცდომები დავუშვით: „სპარტაკი“ სამკაციან კედელს თამაშობდა და გვატყუებდნენ.

— თუმც მესამე გოლი მაშინაც და ახლაც ედვინ ვან დერ სარისთვის იყო არასასიამოვნო...

— გეთახმებით, მაგრამ წაგებაში ვან დერ სარის დადანაშაულება არასწორია.

— რით გაგაკვირვათ რუსეთის ნაკრებმა?

— იმით, რომ შვედებთან და ჰოლანდიელებთან ჰიდინკმა დაცვითი ტაქტიკა არ აირჩია. მახსოვს, წელიწადნახევრის წინ ჰოლანდიამ ამსტერდამში გაანადგურა თქვენი ნაკრები, თუმც მაშინ რუსეთი გუნდი არ იყო. ახლაც ჯგუფის პირველ მატჩში ესპანეთთან ვერაფერი აჩვენეს, დიდი ანგარიშით წაგეს, მაგრამ მერე სასწაულად მოუმატეს.

— ჰიდინკმა ვან ბასტენი მოატყუა იმით, რომ სქემა შეცვალა და მარჯვენა ფრთაზე ივან საენკო დააყენა — ეთანხმებით ამას?

— ახლა, ალბათ, ყველა იტყვის, რომ ვან ბასტენი შეცდა — ამა თუ იმ ფეხბურთელის ნაცვლად, რატომ სხვა არ ათამაშაო.

— ჩვენი აზრით, ენგელაარის ნაცვლად დე ზეუვი, მატიისენის ნაცვლად ბუმა და კუიტის ნაცვლად ვან პერსი უნდა დაეყენებინა. რას იტყვით?

— ვეჭვობ, რომელიმე მწვრთნელმა ბრწყინვალედ ჩატარებული სამი მატჩის შემდეგ ამდენი ცვლილება გააკეთოს. ვინ ელოდა, რომ რუსები ასე შეუტევდნენ? მე პირადად ვერ წარმოვიდგენდი. შვედეთი შვედეთია, ჰოლანდია კი მასზე მაღალი კლასისაა. არადა, რუსეთმა თამაშით დაჯაბნა „ნარინჯისფერები“, მთელი 120 წუთი დომინირებდა.

— მატჩის შემდეგ ანდრეი არშავინმა თქვა, ერთმა ბრძენმა მწვრთნელმა თერთმეტი ჰოლანდიელი ტალანტი დაამარცხაო. ეთანხმებით?

— ეტყობა, არშავინი ჯერ მაინც ახალგაზრდა და მორიდებულია. ანდრეი საუკეთესოა ამ ჩემპიონატზე და, საერთოდ, ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში. მწვრთნელმა ბევრი რამ შეიძლება გითხრას, მაგრამ მინდორზე საქმეს ფეხბურთელები აკეთებენ. ჰიდინკის ღვაწლი დიდია, მაგრამ ფეხბურთელების ყოჩაღობას მეორე პლანზე ნუ გადასწევთ — ხომ ნახეთ, იფრინეს...

— არშავინის გარდა, კიდევ ვინ მოგეწონათ?

— პავლიუჩენკო. თუმც რუსეთის ერთი ფეხბურთელის გუნდი არაა, მთლიანობაში სასიამოვნო იყო მათი თამაშის ყურება. ასეთი ძლიერი გუნდი მხოლოდ ნახევარფინალს არ უნდა სჯერდებოდეს და ფინალში გასვლას გისურვებთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსიყვარულე ყოფილი ცოლი

დახედეთ სურათს, სადაც პოლ გესქოინი მეუღლესთან... უკაცრავად, ყოფილ მეუღლესთან და ვაჟთან, 12 წლის რიგანთან ერთად მისეირნობს — მასზე ინგლისური ფეხბურთის ლეგენდა სავსებით ჯანმრთელი ჩანს, ხომ მართალია? ის მიდის, ხელში ყავის ჭიქა უჭირავს, ბედნიერია...

და როგორც ფსიქიატრიული კლინიკის ერთ-ერთმა თანამშრომელმა განმარტა, გაზას ეს მოყოჩაღება 43 წლის შერილის გამოჩენამ განაპირობა: „პაციენტი მზრუნველ ქალს საჭიროებს".

ფოტო კლინიკაშია გადაღებული, სადაც შერილმა ბოლო დროს მოუხშირა ვიზიტებს. გაუვლის, ყოფილ მეუღლეს, სეირნობს მასთან ერთად, ესაუბრება, აშშვიდებს. ყველა ღონეს ხმარობს, ბახუსის ჯოჯოხეთიდან რომ გამოიყვანოს. ტაბლოიდებმა კლინიკაში გამვლელ-გამომვლელი დაკითხეს და აღმოაჩინეს, რომ ყველა გაოცებულია, ყველა ამბობს, რომ ასეთი გაზა მათ ბოლო პერიოდში არ უნახავთ — წონაშიც კი მოუმატია. სურათებს რომ უღებდნენ, ის მიდიოდა და გამვლელებს ხელს უქნევდა. შერილისა და რიგანის გარდა მასთან ერთად იყო შერილის ვაჟი სხვა ქორწინებიდან, 19 წლის მეისონი.

არადა, სულ რამდენიმე კვირის წინ სმით განადგურებული ვარსკვლავთ-ვარსკვლავი საშინელ დღეში იყო, მესამედ გააქანეს ფსიქიატრიულში — დალაქის სავარძელში ჩაძინებულიღა მოიხელთეს სასწრაფო დახმარების ექიმებმა.

კლინიკა, რომელზეც მოგახსენებთ, ლოდონის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და „კიუ გარდენსი" ჰქვია. ჰოდა, იქ, სხვა პაციენტთან მისულმა მავანმა ადამიანმა პოლის მდგომარეობა ასე აღწერა: „პოლი ყავას ყლუპავდა, ყვავილებს შეჰხაროდა და ბედნიერი ჩანდა."

მავანი მუშა კარენ ჰარვი, რომელმაც ასევე ნახა გაზა: „ის კარგ ფერზე იყო, წონაში მომატებული ჩანდა. ის და შერილი სულ იცინოდნენ და გატაცებით ლაპარაკობდნენ რაღაცაზე. აშკარა იყო, რომ ისინი ერთმანეთის კამპანიაში თავს საუცხოოდ გრძნობდნენ და ერთმანეთთან ყოფნა უხაროდათ".

შეგახსენებთ, რომ შერილი პოლს 1999 წელს ლოთობის გამო გაეყარა. უფრო სწორედ, ლოთობა პოლს აგრესიულს ხდიდა და და შერილს ელემენტარული თავდაცვა სჭირდებოდა. საყოველთაოდ ცნობილი გახლდათ შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი სასტუმროს ნომერში გამხეცებულმა ქმარმა ცოლს თვალი დაულილავა და თითები უღრძო. მაგრამ, დღეს, როდესაც გაზას პრობლემებმა სერიოზული მასშტაბი მიიღო, გაყრილმა ცოლმა იგრძნო, რომ გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანის გვერდით უნდა დამდგარიყო.

„გაზას გამოჯანმრთელებაზე მთელი ინგლისი ოცნებობს — განაცხადა გესქოინის წარმომადგენელმა — დღეს პოლს დედობრივი ზრუნვა, მისთვის თავდადებული ქალი სჭირდება და შერილი სწორედ ასეთი ფიგურაა, გესქოინის მოვლა-პირი გულიდან მოდის".

პაპუნა კედია

გაზა თვალის მრთი გადავლებით

გაზა და ბუზი

იცით, რას ნიშნავს ინგლისური სიტყვა ბუზი? ისე, ჟარგონია, მთლად ლიტერატურული სიტყვა არ გახლავთ. ეს არის ლოთობა. საიდან მოდის ვერ გეტყვით, მაგრამ ჟღერადობით მართლა უნდა ჰგავდეს იმას, რასაც გამოხატავს: ბუუუზი. მძიმედ თუ წარმოთქვამთ, ისე, თითქოს სხვა ბგერებს მკაფიოდ ვეღარ გამოთქვამდეთ, მიხვდებით, რასაც ვგულისხმობთ, თუმცა ვიმეორებთ, ეს სიტყვა შეიძლება სულ სხვა ფესვებიდან მოდიოდეს. იორკშირში, მაგალითად, ადგილია ასეთი, ბუზი, ოღონდ არის თუ არა ლოთობასთან რაიმე კავშირში, ვერ გეტყვით და პრინციპში ჩვენს ამოცანას არც წარმოადგენს. ამ წერილში პოლ გესქოინის გენიალური საფეხბურთო და ბუზი ცხოვრების რამდენიმე ფრაგმენტი გვინდა გაგახსენოთ.

დიახ, გაზამ როგორც ბურთის დიდოსტატმა, ინგლისის, თუმცა რატომ მარტო ინგლისის, მთელი მსოფლიოს გული მოიგო, განსაკუთრებით 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიბრწყინა, მაგრამ ლოთობისა და ნარკოტიკების გამო თავი ჯოჯოხეთშიც ჩაიგდო.

დიახ, ასე იყო. გაზას შეჰხაროდნენ როგორც დიდ მოთამაშეს, მაგრამ თანდათანობით, მისი ლოთობის ამბავი მთელმა ქვეყანამ გაიგო. სკანდალური იყო, მაგალითად, 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის წინ ჩინეთიდან ინგლისში გამოფრენილ თვითმფრინავში გადაღებული ფოტოები — ინგლისის ნაკრები ტურნედან ბრუნდებოდა და ცათმფრენში გვარიანად გამოთვრა. ერთ-ერთი მთავარი გმირი, რასაკვირველია, პოლ გესქოინი გახლდათ. ისინი ისე იქცეოდნენ, თვითმფრინავი კინაღამ ჩამოაგდეს. გესქოინი სავარძელზე გადაწვა და პირში ბოთლიდან ისხამდა არაყს — თუ გასხოვთ, ეს სცენა ევრო 96-ზე, შოტლანდიასთან გატანილი ზღაპრული გოლის ზეიმისას გაითამაშა კიდეც.

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, შეკრებაზე, გაზამ ისევ მოაწყო ლოთობის სესია და ინგლისელთა მაშინდელმა მწვრთნელმა, გლენ ჰოდლმა საფრანგეთში აღარც კი წაიყვანა.

2001 წელს გაზა იშშ-ის შტატ არიზონაში, ლოთობის სამკურნალო ცნობილ დაწესებულებაში გაემგზავრა, მაგრამ გავიდა ოთხი წელიწადი და ის, „კეტერინგ თაუნის" მწვრთნელის რანგში (ასეთი გუნდიც არსებობს), თანამდებობიდან გააგდეს, რადგან თამაშებზე მთვრალი დადიოდა.

მიმდინარე წლის დასაწყისში გესქოინი სამი კვირით ფსიქიატრიულ კლინიკაში მოხვდა. კლინიკიდან გამოსვლის შემდეგ გამოხდა ხანი და ნიუკასლის ერთ-ერთ სასტუმროში შიშველი ნახეს, თავზე ეწერა სიტყვა „გიჟი" და ხელში სათამაშო თუთიყუში ეჭირა. ბუნებრივია, ის ისევ შეაბრუნეს საავადმყოფოში, საიდანაც ერთი ხნის შემდეგ კვლავ გამოუშვეს, მაგრამ მოგვიანებით, დალაქის სავარძელში ჩაძინებული მესამედ წაიყვანეს სასწრაფო დახმარების მანქანით.

გაზა და შერილი

ყოფილ მეუღლესთან, შერილთან პოლ გესქოინს ჩახლართული ურთიერთობა ჰქონდა. ფეხბურთის ვარსკვლავი სცემდა კიდეც ოდინდელ მოდელს.

ისინი ერთმანეთს 1991 წელს შეხვდნენ, მაშინ გაზა „ტოტენჰემ ჰოთსპურში" თამაშობდა. ამ შეხვედრის შემდეგ, შერილი პირველ მეუღლეს კოლინს (პროფესიით უძრავი ქონების აგენტს) გაეყარა. იმ წელიწადს შერილმა გაზას საშინელი ტრავმის მოშუშებაში შეუწყო ხელი და მასთან ერთად რომში გადასახლდა, სადაც პოლმა „ლაციოში" დაიწყო თამაში.

1996 წელს წყვილმა ინგლისში სახლი შეიძინა და შერილის შვილებთან, მეისონთან და ბიანკასთან ერთად დაიწყო ცხოვრება. მათი ქორწილი 100 ათასი გირვანქა დაჯდა.

იმავე წელიწადს ქვეყანას მოევლინა ვაჟი, რიგან გესქოინი. შემდეგ კი ყველაფერი ყირაზე დადგა და, როგორც უკვე გითხარით, საქმე ცოლის თვალების ჩალურჯებამდეც კი მივიდა.

1999 წელს პოლი და შერილი ერთმანეთს დაცილდნენ. განქორწინების შედეგად ქალს ქონების მესამედი, 5 მილიონი გირვანქა დარჩა.

ბოლო თვეებში შერლს სულ უფრო ხშირად ხედავენ გაზას გვერდით.

პაპუნა კედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლხინი და ლაღობა ვეგასში
სანამ კონტინენტი იბრძვის

ბედნიერი წყვილი, უეინ რუნი და მისი მეუღლე კოლინი თაფლობის თვეს ამერიკაში, ლას ვეგასში ატარებენ, სადაც ფანებმა იცნეს და ისინიც სიამოვნებით მიესალმენ.

მისტერ და მისის რუნები ამერიკის გემბლერთა დედაქალაქში ჯორჯ მაიკლის კონცერტზე მიბრანებულან და ხალხსაც იქ უცვნია. უცვნია და ამტყდარა ხელი-ხელს გადახვეული სურათების გადაღება.

44 წლის ინგლისელი პოპ-ვარსკვლავის კონცერტი ცნობილზე ცნობილ MGM გრანდ ოტელში გაიმართა. ჯორჯ მაიკლმა თითქმის ორი საათის განმავლობაში გააბრუა მსმენელ-მაყურებელი თავისი ჰიტებით, რომელთა შორის იყო I'm Your Man და Careless Whisper. უეინმა და კოლინმაც არ დააკლეს ცეკვა-თამაში, კონცერტის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავი სახეაწითლებული გამოსულა დარბაზიდან.

ინგლისურმა ტაბლოიდებმა გამვლელ-გამომვლეს დაუწყეს შთაბეჭდილების გამოკითხვა.

გერმანელი სტუდენტი ლარს ლამადე, 37 წლის: „ჯორჯ მაიკლის კონცერტზე უეინ რუნის ნახვა ნამდვილი შოკი იყო. მისი ცნობა არ გამჭირვებია. მას და კოლინს კონცერტი ძალიან მოეწონათ, ბოლომდე ფეხი არ მოუცვლიათ დარბაზიდან. სხვათა შორის, დარბაზში ამერიკელი სელებრითებიც იყვნენ, მაგრამ ისინი ადრევე წავიდნენ, უეინი და კოლინი კი კონცერტსაც დაესწრნენ და არც ფოტოების გადაღებაზე უთქვამთ ხალხისთვის უარი".

კონცერტის შემდეგ კი ბედნიერი წყვილი ვეგასის ტოპ-კლუბ Tryst-ში წასულან, სადაც არყით, „რედ ბულით" და მალიბუთი შეუქცევიათ თავი.

ცნობისთვის: კლუბ Tryst-ს ხელოვნური ჩანჩქერი და ტბა ამშვენებს.

„ისინი ხელიხელჩაჭიდებულნი დადიოდნენ. ბევრი იქაურისთვის უეინი და კოლინი ჩვეულებრივი შეყვარებული წყვილი გახლდათ, თუმცა ბრიტანელი დამსვენებლები მათ დანახვაზე შეძახილისგან ვერ იკავებდნენ თავს: „რუნი! რუნი!"

მოგეხსენებათ, მისტერ და მისის რუნიმ ცოტა ხნის წინ იქორწინეს იტალიაში, მერე კი, როგორც ხედავთ, ამერიკას მიაშურეს. რაც შეეხა სხვა ინგლისელ ვარსკვლავებს, სანამ მათი ევროპელი კოლეგები კონტინენტის პირველობისთვის იბრძვიან, ისინი, ზოგი სად და ზოგიც სად, გემრიელად ატარებენ დროს. მაგალითად, ჯონ ტერი და მისი მეუღლე ტონი ბარბადოსზე არიან, ფრენკ ლამპარდმა კი მეუღლე ელენ რივასთან ერთად მალიორკის წყლებში, იახტაზე გადაიხადა 30-ე დაბადების დღე.

ეშლი კოული თავის პოპვარსკვლავ ცოლთან შერილთან შერიგებას ესპანეთში, საკუთარ მდიდრულ ვილაზე ცდილობს, სოლ კემპბელი და ფიონა ბარატი კი კარიბის ზღვის პირას ნებივრობენ, ნუ, შეხვდნენ თუ არა „ბელუგ ჯეკს" ან დევიდ ჯონსს, ვერ გეტყვით.

პაპუნა ძედია





ნიუკასლს აიმარი უნდა

ინგლისური „ნიუკასლი“ სეგუნდადივიზიონში გავარდნილი „სარაგოსას“ ერთ-ერთი ვარსკვლავით, პაბლო აიმარითაა დაინტერესებული. ეს არგენტინელის აგენტმა გუსტავო მასკარდიმაც დაადასტურა.

„მოლაპარაკება დაწყებულია და იმედია, წარმატებით დასრულდება. პრემიერლიგა ბრწყინვალე იქნებოდა აიმარისთვის, მაგრამ „სარაგოსასგან“ ჯერ არაფერი ისმის“ — თქვა მასკარდიმ.

ფლაკი ემპოლიში

გენუის „სამპდორიის“ ყოფილი ფორვარდი ფრანჩესკო ფლაკი, რომელიც 2007 წლის თებერვალში კოკაინის ხმარებაში ამხილეს და ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, კარიერის გაგრძელებას სერია B-ში გავარდნილ „ემპოლიში“ აპირებს. დისკვალიფიკაციის ვადის გასვლამე იგი ტოსკანელთა ახალგაზრდულ გუნდთან ერთად ივარჯიშებს, მერე კი „ემპოლის“ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებისთვის ბრძოლაში დაეხმარება.

რონალდო ძუნძულს იწყებს

ბრაზილიელმა ფორვარდმა რონალდომ განაცხადა, რომ მისი რეაბილიტაცია კარგად მიმდინარეობს. „მილანის“ ვეტერანი თავდამსხმელი 2-3 კვირაში ძუნძულის დაწყებას აპირებს.

„მუხლი ბევრად უკეთ მაქვს და ორ-სამ კვირში მსუბუქად სირბილსაც შევძლებ. ეს ძალიან კარგია. სარეაბილიტაციო კურსს პარიზში ვაგრძელებ, თან ფორმულა ერთის ეტაპსაც დავესწარი. მხარს ფერარის საჯინიბოს ვუჭერ, იტალიაში გატარებული კარგი წლებისა და ჩემი მეგობრის ფელიპე მასას გამო“ — თქვა „კიჭამ“.

სტანკოვიჩი იუვეში?

მილანის „ინტერის“ ახალი მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ დეიან სტანკოვიჩს თავის სამომავლო გეგმებში ვერ ხედავს და დიდი შანსია, სერბმა კარიერა „იუვენტუსში“ გააგრძელოს, მხარეები შეთანხმების მიღწევასთან ახლოს ყოფილან. თუმცა „ბებერი ქალბატონის“ ფანები ამ ტრანსფერს ეწინააღმდეგებიან. საქმე ის არის, რომ 2004 წელს სტანკოვიჩის „იუვეში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი გახლდათ, მაგრამ ბოლო წამს, მან „ინტერი“ ამჯობინა ფინანსურად ოდნავ უკეთესი პირობების გამო. გარდა ამისა, კალჩოპოლის სკანდალის მერე, სერბმა „ბიანკონერის“ შესახებ მწვავე კომენტარები გააკეთა და ფანები ამ ყველაფერს ვერ პატიობენ.

ჟინოლა მწვრთნელობას აპირებს

ახლო წარსულში ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი დავიდ ჟინოლა სამწვრთნელო კარიერის დაწყებას აპირებს. გავრცელებული ცნობით, 41 წლის ჟინოლა მალე შესაძლოა, ტელევიზიაში კომენტატორად მუშაობას შეეშვას და ფრანგული „მონაკო“ ჩაიბაროს, რომელსაც ამჟამად პსჟ-ში თამაშისას მისი ექსთანაგუნდელი რიკარდო წვრთნის.

ბოკი ბანდელაკი

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

ჩრდ. და ცენტრ. ამერიკა

კუბა 4:0 ანტიგუა და ბარბუდა
ნიდ. ანტილები 0:1 ჰაიტი

სალვადორი 3:1 პანამა
ბერმუდა 0:3 ტრინიდადი

არგენტინა

კლაუსურა
XIX ტური

ბოკა ხუნიორსი 6:2 ტიგრე
საბოლოო ცხრილი

რივერ პლეიტი	19	13	4	2	29:13	43
ბოკა ხუნიორსი	19	11	6	2	33:15	39
ესტუდიანტესი	19	11	6	2	29:17	39
სან ლორენსო	19	11	2	6	30:21	35
ველესი	19	9	5	5	24:17	32
ინდეპენდიენტე	19	8	7	4	25:15	31
არგენტინოსი	19	9	3	7	23:24	30
ნიუელზი	19	8	5	6	21:19	29
როსარიო	19	7	6	6	26:23	27
არსენალი	19	7	4	8	22:25	25
კოლონი	19	6	5	8	25:27	23
ბანფილდი	19	6	4	9	36:36	22
ტიგრე	19	6	4	9	24:37	22
ურაკანი	19	5	7	7	15:17	22
ოლიმპო	19	6	2	11	21:32	20
ლანუსი	19	5	3	11	26:39	18
სან მარტინი	19	5	2	12	20:30	17
ხიმნასია (ლ.პ.)	19	4	5	10	19:26	17
რასინგი	19	2	9	8	15:22	15
ხიმნასია (ხ)	19	2	9	8	20:28	15

ბრაზილია

სერია A. VII ტური

გრემიუ 3:0 ატლ. პარანაენსე
ნაუტიკუ 2:1 ატლ. მინეირუ
სანტოსი 0:4 გოიასი

ფლამენგუ	7	5	1	1	16:7	16
გრემიუ	7	5	1	1	12:3	16
კრუზეირუ	7	5	1	1	14:6	16
ნაუტიკუ	7	4	2	1	10:5	14
პალმეირასი	7	4	1	2	11:8	13
სან პაულუ	7	3	3	1	12:6	12
ვიტორია	7	3	2	2	7:5	11
პორტუგეზა	7	3	2	2	12:12	11
კურიტიბა	7	2	3	2	8:7	9
ატლ. მინეირუ	7	2	3	2	10:11	9
ატლ. პარანაენსე	7	2	2	3	8:7	8
ვასკუ	7	2	2	3	7:8	8
რესიფე	7	2	2	3	6:8	8
ფიგეირენსე	7	2	2	3	10:19	8
ინტერნასიონალი	7	2	1	4	8:11	7
ბოტაფოგუ	7	2	1	4	6:9	7
გოიაში	7	1	3	3	7:12	6
სანტოსი	7	1	2	4	6:13	5
იპატინგა	7	1	2	4	6:13	5
ფლუმინენსე	7	0	2	5	4:10	2

ტოტალიზატორი

1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი	წყვილი	შედეგი	კოეფ-ტი	სისტ

— ცხოვრება გამექცეს იქსდვაში, თუ ვტყუოდე. ცვეტში ვიცი. ისეთმა კაცმა მითხრა, რო ხუთკუშიანი ტყუილი დაეჯერება.

— უეჭველს ამბობ?

— გეუბნები, რა! მასტმა შვეიცარიიდან დამირეკა. მაგარი სვიაზები აქვს.

— როგორი?

— იქსი იცი როგორ იწერება?

— მერე?

— აი, ეგრე არი იქურ ყომარბაზებთან გადაკვანძული.

— რამე აფიორა არ იყოს, ტო! დიდი მაყუთის დადებას ვაპირებ. ჰოლანდიის წაგებამ მაგრა გამპუტა, ხო იცი!

— რა აფიორა, ძმაო, ლიჩნად ბეკენბაუერი ჩალიჩობსო. საკუთარ თავზე აუღია.

— მერე თურქებმა ვერაფერი მოწვეს?

— ეგ ჩვენ სუ არ გვეტაიმბოლება. ფინალში ნემცების გასვლას ვწერთ და ეგ არი!

— ზნაჩიტ, შენმა ძმაკაცმა რა პონტში დარეკა?

— კაროჩე, ხო გაიასნდა, რო თურქებს ვიღაც მჩხიბავები ჰყავთ და ფუტბოლს თურმე ისინი იგებენ. აბა, სად იყო აქ თურქების მოსაგები, ძმაო..

— მერე, მერე?

— ლიჩნად ბეკებაუერს დაუქირავებია ტიპები, რომლებმაც ეგ მჩხიბავები, ნუ, ფუტბოლნად რო გითხრა, უნდა ამოკეტონ

— ვსმისლე, პრესინგი და რამე?

— ჰო, რა, მამენტ ზონურადაც შეილება, მარა მთავარია, ჯადოქრობამ სტადიონამდე ვერ მიაღწიოს.

— და ეგ პონტი უეჭველად გაჭრის?

— კაი, რა! ხო იცი, ბეკენბაუერი რა ტიპია. ვაფშეტა, ეგ საქმე მაგას იმიტო ჩააბარეს, რო კლიჩკა „კაიზერი“ აქვს. მეფეა, რა. იქით თურქების ტრეინერია იმპერატორი და აქეთ მთელი გერმანიის ტრეინერი ბეკენბაუერი. კაროჩე, მეფე vs იმპერატორ! აზრზე ხარ?

— მამენტ და მჩხიბავებმა ფინტები ჩაატარონ, მაინც მისცენ პაძერუკა თურქებს და გერმანია ფინალში ვერ გავიდეს, ჩემ ხუთას დოლარს ვინ დამიბრუნებს, ბეკენბაუერი?

— რა მაგის პასუხია და ესპანეთში გაზპრომის გაზია?

კუზი კოზმარია

ჩემი ბილეთი:
001 თურქეთი — გერმანია
შედეგი: ნუ გაიტან, გაგიტანენ.
002 რუსეთი—ესპანეთი
შედეგი: ეს უკვე იყო
სავარაუდო მოგება: ეპანური ხარის ბეჭი
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ ვისი ხათრით მოუშვა ულვაში ლუკა ტონიმ

114140 *

euro_fan_2008@yahoo.com

ASHENGELIA: გამარჯობა „სარბიელს“, კიდევ ერთხელ!

ჩემს მიერ გაკეთებული პროგნოზები გამართლდა (თუმცა, ზოგადად, ვერ დავიკვეხნი დიდ წინასწარმეტყველებას), არ არიან ეს პორტუგალიელები და ჰოლანდიელები ფინალის ხალხი, პრინციპში არც ესპანელები, უბრალოდ, თერთმეტმეტრიანების სერია მართლა ლატარიაა.

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ თუნდაც ეს პენალტების ლატარია მწვრთნელზეა დამოკიდებული. ვერაფრით მივხვდი, რა შუაში იყო დი ნატალე თერთმეტმეტრიანებში, რატომ იტოვებენ ყოველთვის დელ პიეროს ან ამ დონის შტატიან პენალტისტებს ბოლოში, რა დროს ბოლოა, ჯერ თავშია პენალტები. ალბათ, მწვრთნელებმა უკეთ იციან, თუმცა შედეგი სახეზეა. ჩემი აზრით, დონადონიმ მთელი ევროპა ჩაგდო, ხან ტაქტიკა არ უვარგოდა, ხან მოთამაშეები ვერ გამოიცნო. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, თვით კაპიტანიც კი სამჯერ შეიცვალა (ჯერ კანავარო იყო, დიმტვრა, მერე ბუფონი, მერე დელ პიერო, მერე ისევ ბუფონი). ესპანეთთან მატჩში, საერთოდ, რა შუაში იყო პეროტა „პოდნაპადაიუში“. ვერავინ მიხვდა, ეს ტონიზე აგებული თავდასხმა ჯგუფში ჩატარებულ 3 თამაშში ჩაფლავდა, რას გადაეკიდა ამ ტონის, ვერ ვხვდები. მოკლედ, აღარ გავაგრძელებ დონადონის ლაფსუსებს, არადა, იტალიის დიდი გულშემატკივარი ვარ. ობიექტურობა მოითხოვს რომ ვთქვა, არ იყო იტალია ღირსი ნახვარფინალისა.

როგორ გინდა, ჰოლანდიელების წაგებაში ეჭვი არ შეიტანო, დახაზეს 3 თამაში და მერე დადგნენ რუსებთან. ალბათ, მართლა ჩაწყვეს ყველაფერი ამ რუსებმა. ჰოკი მოიგეს, კალათბური მოიგეს, უეფა „ზენიტმა“ მოიგო, ჩემპიონთა ლიგის ფინალი მოსკოვის იყო, თვით ევროვიზიაც კი მოიგეს :). რას გაიგებ, იქნებ ევროპაც მოიგონ, თუ ჰოლანდიასავით ესპანეთიც დადგა და უყურა პავლიუჩენკოს.

ისე გუუს ჰიდინკი გყავდეს და, რუსეთში გაუშვა და სხვას დაავალო ნაკრების გაწვრთნა, პარადოქსია; ისე კაპელო გყავდეს და, ინგლისში გაუშვა და სხვას დაავალო ნაკრების გაწვრთნა, ეგეც პარადოქსია.

გულახდილად შემეცოდა ბილიჩი, რა სიხარული იყო მისთვის გოლი, რომელიც კლასნიჩმა გაიტანა, ალბათ, ჭკუიდან გადავიდა კაცი და 5 წამში დაკარგა წლები სიცოცხლისა, განადგურდა.

დროებით გემშვიდობებით იმ იმედით, რომ ფინალი არ იქნება თურქეთი — რუსეთი.

PARTISAN777: სალამი „სარბიელს“!

მაკარონნიკებმა ხასიათი ვერა, მაგრამ პროგნოზი კი წამიხდინეს. კიდევ ერთი რამ ვთქვი ჯგუფური ეტაპის შემდეგ — ჰოლანდია, პორტუგალია ან ესპანეთი ფინალში გავლენმეთქი. საქმე ისე მოტრიალდა, რომ, ნეტავ, ეგ პროგნოზიც არ წამიხდეს.

მისწერეთ გაერის, რომ გახშირდა რუსთა თარეში. ხალხის აზრი ორად გაიყო. ამას ზოგი ნაკრების კარგ თამაშს აბრალებს, ზოგი კი — გაზპრომისას. ორივე შემთხვევაში, მეტნაკლები საშიშროების თარეშია საზეზე. რუსეთ-თურქეთის ფინალზე უნდა ავდო ფული, სანამ „დაგრუზავ“ მოუსწრიათ. ისე, მე ესპანეთი — გერმანია მირჩევნია, ალბათ, გაგაოცეთ ჩემი ორიგინალობით, არა?

P.S. ახლა იმას „ვჩალიჩობ“, რომ სადმე კრიშტიანუს 4 წლის ხელფასის ოდენობის გირვანქები ვიშოვო (სადღაც 30-40 მილიონი, თუ სწორად მახსოვს), გლეიზერების ოჯახს შევეკრა (ანუ მანჩესტერის), მოღალატე და მამის (ანუ ფერგიუსონის) მკვლელი ტრიბუნაზე დავაშენილო.

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის ჩემპიონატის მიმოხილვა
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

რა ბედი ეწევა დონადონის?

იტალიის ნაკრებმა ევრო 2008-ზე გამოსვლა მეოთხედფინალში დაასრულა. მართალია „სკუადრა აძურას“ ესპანეთთან მოგება თავისუფლად შეეძლო და საბოლოოდ მატჩის ბედი პენალტების სერიამ გადაწყვიტა, სადაც პირინეელებს გაუმართლათ, მაგრამ აპენინელთა თამაში კვლავ არადამაჯერებელი გახლდათ. იტალიური პრესა და ტიფოზები უკვე გაორმაგებული ენერგიით ბობოქრობენ და რობერტო დონადონის გადადგომას ითხოვენ. თუმცა ფეხბურთელების დიდი ნაწილი მის დარჩენას ემხრობა.

შემადგენლობასთან დონადონის პრობლემები ჰქონდა, მაგრამ უმეტესობის აზრით, იტალიას ბევრად უკეთ შეეძლო თამაში და ეს რომ ვერ მოახერხა, პირველ რიგში, სწორედ დონადონის პრიმიტიული ტაქტიკისა და მცდარი გადაწყვეტილებების ბრალია.

დონადონისდა სამწუხაროდ, მისთვის ორმაგად ცუდია, რომ პენალტების სერიაში უმნიშვნელოვანეს მომენტში, როცა იტალიას ანგარიშის გათანაბრება შეეძლო, გოლი ვერ გაიტანა ანტონიო დი ნატალემ, რომლისადმიც დონადონის განსაკუთრებული სიმპათია აქვს და მას ესპანეთთანაც ენდო, მაგრამ...

მიუხედავად ამ ყველაფრისა, თავად დონადონი წასვლაზე სულაც არ ფიქრობს, მინდა ნაკრებში მუშაობა გავაგრძელოო. თუმცა თუ იტალიის ფეხბურთის ფედერაცია მის მოხსნას ისურვებს, ცხადია, წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგება. სავარაუდოდ, ყველაფერი უახლოეს 7-10 დღეში გადაწყდება. თუ „ლივორნოს“ ექსმწვრთნელს გაუშვებენ, კომპენსაციის სახით მისთვის დაახლოებით 600 ათასი ევროს გადახდა მოუწევთ.

იტალიის ფეხბურთის ფეერაციის პრეზიდენტმა ჯანკარლო აბეტემ დონადონის წასვლა-არწასვლასთან დაკავშირებით კონკრეტული კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა — ახლა კონტრაქტზე ლაპარაკის დრო არ არის, რობერტოსთან შეხვედრა უკვე დანიშნული მაქვს და ყველაფერს ერთად გავაანალიზებთო.

აპენინური ჟურნალ-გაზეთები კი უკვე დახუნძლულია ცნობებით, რომ ნაკრებში მარჩელო ლიპი ბრუნდება. 20 აგვისტოს ავსტრიასთან ამხანაგურ მატჩს „სკუადრა აძურას“ ისევ ლიპი ათამაშებსო...

რობერტო დონადონი: „ძალიან დასანანია პენალტებში დამარცხება, აქ ფაქტობრივად არასდროს მიმართლებდა. გული მწყდება ბიჭების გამო, რომლებიც ბოლომდე დაიხარჯნენ. მათ კიდევ ერთხელ დამტკიცეს, რომ ძალიან შეკრული გუნდი გვყავს და შეუძლიათ იამაყონ, ევროპის ჩემპიონატს თავაწეულნი რომ ვტოვებთ“.

კითხვაზე თუ რატომ არ შეუშვა ალესანდრო დელ პიერო მინდორზე უფრო ადრე, დონადონიმ ასე უპასუხა: „შემეძლო ალექსი უფრო ადრე შემეშვა, მაგრამ დანიელე დე როსის პრობლემა ჰქონდა, მან მცირე ტრავმა მიიღო და იყო რისკი, რომ ათი კაცით დავრჩებოდით, ეს კი დაცვას ძალიან მოგვისუსტებდა. დე როსიმ, ისევე როგორც ყველამ, ბოლომდე იბრძოლა და გული ჩამწყდა, როცა ატირებულ ფეხბურთელებს ვუყურებდი, მაგრამ ეს ფეხბურთია, ხან დიდი იმედგაცრუება გელის და ხან დიდი სიხარული. რას ველოდები ახლა? არაფერს, რას უნდა ველოდო? მშვიდად ვარ და მინდა ნაკრებთან ერთად მუშაობა გავაგრძელო.“

ლუკა ტონიმ, რომელსაც ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა, ბევრი მომენტი გაანიავა და ოთხ თამაშში ერთი გოლიც ვერ გაიტანა, მიუხედავად იმისა, რომ დონადონი მას ბოლომდე ენდო და ყველა მატჩში სრულად ათამაშა.

„ესპანეთთან მატჩამდე კმაყოფილი ვიყავი, რადგან მთავარი გუნდის წარმატებაა და არა ის, გავიტან თუ არა გოლს. თუმცა ახლა ძალიან გულდაწყვეტილი ვარ, ნახევარფინალში გასვლის ჩინებული შანსი გვქონდა, მე კი ნაკრებს ვერაფრით დავეხმარე. დაძაბული ბრძოლა და თანაბარი თამაში იყო, უბრალოდ მეტოქეს უფრო გაუმართლა. ახლა ჩემს ბაიერნელ თანაკლუბელებს ვუქომაგებ, იმედია, გერმანია ჩემპიონი გახდება“ — თქვა ტონიმ.

ალესანდრო დელ პიერო: „არ აქვს მნშვნელობა მერამდენე ტურნირია, როცა აგებ ტკივილისა და იმედგაცრუების შეგრძნება ყოველთვის ერთნაირია. საფეხბურთო ლატარიაში არ გაგვიმართლა, ყველაფერი დე როსისა და დი ნატალეს არ უნდა დავაბრალოთ. ახლა არც იმაზე ლაპარაკის დროა, თუ რა იყო მცდარი და რა სწორი. რაც შემეხება მე, იგივე შემართება მაქვს და ნაკრების ღირსების დაცვა კვლავ მინდა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატამდე დიდი დროა და ვნახოთ, რა მოხდება“.

„კარგად ვითამაშეთ, შანსი ორივე გუნდს ჰქონდა. საბოლოოდ კი ესპანელებს გაუმართლათ. მათ კარგი გუნდი ჰყავთ და ვულოცავ გამარჯვებას. ჩვენ კი ამაყად ვტოვებთ ევროპის ჩემპიონატს. ახლა მომავალზე უნდა ვიფიქროთ“ — ეს კი ფაბიო გროსოს სიტყვებია.

იტალიელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო, როგორც ყოველთვის, ჯანლუიჯი ბუფონი იყო. თუმცა საუკეთესო სხვა გახლდათ — ჯორჯო კიელინი. ტურინის „იუვენტუსის“ ახალგაზრდა მცველმა თითქმის ყველა ორთაბრძოლა მოიგო და მეტოქის მრისხანე თავდამსხმელები არ გაახარა. კიელინიმ ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო. ყველაზე დაბალი შეფასება კი ალბერტო აკვილანიმ და სიმონე პეროტამ დაიმსახურეს. ასევე ტონიმ და დონადონიმ.

„ფერნანდო ტორესსაც ვაჯობე და დავიდ ვილიასაც, მაგრამ ეს სისულელეა, მთავარი ის არის, რომ გავვარდით და ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. გასახდელში დონადონმ გვითხრა, რომ ჩვენ არაფერში გვადანაშაულებს. ახლა სხვას ვერაფერს ვეტყვით, ფიქრი არ შემიძლია“ — თქვა კიელინიმ.

გიორგი ძაძაბაძე

ესპანეთის მფარველი წმინდა იკერი
ერთბაშად გატეხილი რამდენიმე ნავსი

ესპანეთის მშვენიერი ნაკრები ნახევარფინალში და ევროპის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას აგრძელებს. ახლა „ფურია როხას“ ნახევარფინალში იმ რუსეთთან გამკლავება მოუწევს, რომელსაც ჯგუფში 4:1 მოუგო, მაგრამ საქმე ასე მარტივად რომ არ იქნება, პირენეელთა ყველაზე თავგადაკლული ქომაგებიც ხვდებიან.

ეს წარმატება ფეხბურთელებს ესპანეთის მეფემ ხუან კარლოსმაც მიულოცა — მოთამაშეებს გასახდელში ესტუმრა და განაცხადა, ნახევარფინალზე დასწრებასაც ვაპირებო.

ესპანელებმა იტალიასთან კარგად ითამაშეს. მართალია, აშკარა საგოლე მომენტი ბევრი არ ჰქონიათ, მაგრამ რამდენჯერმე მწვავედ შეუტიეს და ტერიტორიულ უპირატესობასაც ფლობდნენ. საბოლოოდ კი პენალტების სერიაში, რაც მათი ძლიერი მხარე ნამდვილად არ არის, იმარჯვეს და უპირველესად იკერ კასილიასს უნდა უმადლოდნენ, რომელმაც ორი თერთმეტმეტრიანი მოიგერია. შეგახსნებთ, რომ ესპანელთა მხრიდან პენალტი დანიელ გუისამ ვერ გაიტანა.

„წმინდა იკერი“ სრულიად დამსახურებულად დაასახელეს მატჩის საუკეთესო მოთამაშედ. მან მაურო კამორანეზის საოცარი დარტყმა ფეხით მოიგერია და ესპანელები უმნიშვნელოვანეს მომენტში გოლის გაშვებას გადაარჩინა.

აუცილებლად უნდა ითქვას ლუის არაგონესზეც. გამოცდილმა მწვრთნელმა ტაქტიკა სწორად აირჩია. მას იტალელების ეშინოდა, რასაც მატჩამდეც არ მალავდა და სიფრთხილე გამოიჩინა, რამაც, საბოლოოდ, გაამართლა კიდეც. 69 წლის სპეციალისტს თითქოს ყველაფერი დეტალურად ჰქონდა გათვლილი, ცვლილებებიც ასე თუ ისე ლოგიკური და გამართლებული განახორციელა და კრიტიკოსები კიდევ ერთხელ დაადუმა.

მართალია, დავიდ ვილია-ფერნანდო ტორესის მრისხანე წყვილმა ამჯერად ვერ გაიბრწყინა და დაცვაშიც იყო რამდენიმე შეცდომა, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ აქვს, ესპანეთი ნახევარფინალშია და თავის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს წარმატებასთან ძალიან ახლოსაა.

კასილიასთან ერთად აუცილებლად უნდა გამოვარჩიოთ დავიდ სილვა. „ვალენსიას“ ახალგაზრდა, ტანჩია შემტევმა ნახევარმცველმა ბევრი თავსატეხი გაუჩინა იტალიელთა უკანახაზელებს. ბრყინვალედ ითამაშა მარკოს სენამაც.

როგორც გაირკვა, არაგონესს კიდევ ერთი ფარული იარაღი ჰქონდა მომზადებული. ესპანელებს დეტალურად შეუსწავლიათ იტალიელთა წამყვანი დარტყმელების სტილი და იცოდნენ, თუ როგორ ასრულებენ ხოლმე ისინი პენალტებს.

შეგახსენებთ, რომ ესპანეთს იტალიის ბარიერი ოფიციალურ მატჩში 1920 წლის მერე ვერ გადაელახა და ეს 88-წლიანი ნავსი ვენაში გატეხა.

ლუის არაგონესი: „ვიცოდით, სად დაარტყამდნენ იტალიელები პენალტებს. მეკარეების მწვრთნელმა ვიდეომასალა შეისწავლა და იკერი სათანადოდ მოამზადა. მერე ერთად გავაანალიზეთ სიტუაცია და მატჩის წინა დღეს პენალტების სერია სამჯერ გავითამაშეთ. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებაა ესპანურ ფეხბურთში 1920 წლის შემდეგ, ეს ისტორიული შედეგია. ჩემმა გუნდა მოგება დაიმსახურა, რადგან უკეთ ითამაშა. ცხადია, უფრო სწრაფად თამაში გვმართებდა, მაგრამ მთლიანობაში კმაყოფილი ვარ, გუნდი ფიზიკურად კარგადაა მზად, მაგრამ ერთიცაა, ბურთს ხშირად და უაზროდ ვკარგავდით. 3-4 ასპროცენტიანი მომენტი გვქონდა, მეტოქე კი ხიფათს მხოლოდ მაშინ ქმნიდა, როცა ჩვენს საჯარიმოში მაღალ ბურთს აწოდებდა. მეოთხედფინალის გადალახვასთან პრობლემა გვქონდა და ეს გამარჯვება სრულიად ესპანეთისთვის უმნიშვნელოვანესია. მე კი უბრალოდ ჩემს საქმეს ვაკეთებ — მწვრთნელი უნდა იგებდეს. ბიჭები დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთს ისევ დავამარცხებთ, ზოგი თვლის, რომ ეს ძალიან ადვილი იქნება, მაგრამ ასე არ არის“.

„ეს დიდი ზეიმი და დიდი სიხარულია. ბოლომდე დავიხარჯეთ, რათა მოგვეგო და დაგვიფასდა კიდეც. იმედია, ევროპის ჩემპიონები გახდებით. იტალიასთან გუნდმა დაბალანსებულად და კარგათ ითამაშა, როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში“ — თქვა სილვამ.

მატჩის გმირი იკერ კასილიასი: „რასაკვირველია, ძალიან გახარებულნი ვართ, მაგრამ ახლა რუსეთის ძლიერ ნაკრებთან გველის შეხვედრა, რომელსაც სულმოუთმენლად ველოდებით. თავს ფავორიტებად არ ვთვლით იმის გამო, რომ რუსებს ჯგუფში 4:1 მოვუგეთ. გუს ჰიდინკს მშვენიერი გუნდი ჰყავს, რაც შეედეთთან და ჰოლანდიასთანაც დამტკიცდა. ახლა არ აქვს მნიშვნელობა, რა იყო ჩვენს წინა შეხვედრაში. რაც შეეხება პენალტების სერიას, ბოლოჯერ მასში 2002 წელს მივიღე მონაწილეობა, როცა მსოფლიოს ჩემპიონატზე კორეასთან დავმარცხდით. ამჯერად დამსახურებულ გამარჯვებას მივაღწიეთ, ნახევარფინალში გასვლით, შევძელით და დავამსხვრიეთ ფსიქოლოგიური ბარიერი, რომელიც მეოთხედფინალებში გვქონდა“.

ძოკი კანდელაკი

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ_ შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com



ობიექტი



ესპანელი ფეხბურთელები სეირნობენ და იმასაც ვერ ვიტყვით, მაინცდამაინც დიდ ყურადღებას აქცევენ, გარშემო რაც ხდებაო. მაგრამ მაინც: ესპანელები სეირნობენ, ქალები კი ბანაობენ და მზეს ეფიცხებიან...

მოსკოვის ქუჩებში რუსები თავისებურად ერთობიან, რასია, რასიას გაიძახიან და არაყს ეძალებიან, მერე კი პუშკინის ძეგლს შემოაჯდებიან და იქიდან გადაჰყურებენ დედასამშობლოს.

ხოლო ესპანეთი რომ კორიდას სამშობლოა, იქაური გულშემატკივარი ერთხელაც გვახსენებს დროშაზე მიხატული ხარით.

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

1/4 ფინალის სიმბოლური ნაკრები („სარბიელის“ ვერსია)

ჩემპიონატის სტატისტიკა. 1/4 ფინალი

გუნდური სტატისტიკა

დარტყმები

ესპანეთი	84
რუსეთი	79
ჰოლანდია	78

დარტყმა კარში

ესპანეთი	33
ჰოლანდია	31
რუსეთი	31

არაზუსტი დარტყმა

რუსეთი	39
ესპანეთი	35
ჰოლანდია	32

პასები (სულ)

ესპანეთი	2442
ჰოლანდია	2166
იტალია	2006

ზუსტი პასები (%)

ესპანეთი	82
ჰოლანდია	78,5
საფრანგეთი	77,67

გრძელი პასები

ესპანეთი	453
ჰოლანდია	444
იტალია	399

ზუსტი გრძელი პასები (%)

ესპანეთი	69
საფრანგეთი	64
ავსტრია	61,33

საშუალო პასები

ესპანეთი	1504
ჰოლანდია	1366
გერმანია	1136

ზუსტი საშუალო პასები (%)

ესპანეთი	87
ჰოლანდია	84,75
გერმანია	82,75

მოკლე პასები

იტალია	490
ესპანეთი	485
პორტუგალია	463

ზუსტი მოკლე პასები (%)

საბერძნეთი	80,33
ჰოლანდია	80,25
ესპანეთი	79,75

ჩაფოდებები

იტალია	67
ავსტრია	56
პორტუგალია	51
რუსეთი	51

ზუსტი ჩაფოდებები (%)

რუსეთი	45,75
ჩეხეთი	41,67
პოლონეთი	38,33

კუთხურები

რუსეთი	38
ესპანეთი	24
პორტუგალია	23
შტალია	23

თამაშგარე

პორტუგალია	17
იტალია	15
გერმანია	12
ჰოლანდია	12

ჯარიმები

თურქეთი	87
ესპანეთი	81
რუსეთი	77

ჯარიმები წინაალმდეგ

იტალია	80
პორტუგალია	78
ხორვატია	78
ესპანეთი	78

ბურთის ფლობა (%)

პორტუგალია	55,5
ესპანეთი	55,25
ჰოლანდია	53,75

ყვითელი ბარათები

თურქეთი	14
იტალია	9
ავსტრია	8
შვეიცარია	8
საბერძნეთი	8
პორტუგალია	8
რუსეთი	8

წითელი ბარათები

საფრანგეთი	1
გერმანია	1
თურქეთი	1
საფრანგეთი	1

ინდივიდუალური სტატისტიკა

გოლმადორები

დავიდ ვილია (ესპანეთი)	4
ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია)	3
ჰაქან იაქინი (შვეიცარია)	3
რომან პავლიუჩენკო რუსეთი)	3

ასისტენტები

ჰამით ალთინთოფი (თურქეთი)	3
მიროსლავ კლოზე (გერმანია)	2
დირკ კუიტი (ჰოლანდია)	2
ერენ დერდიოქი (შვეიცარია)	2
დანიელ პრანიჩი (ხორვატია)	2
ბასტიან შვაინშტაიგერი (გერმანია)	2
ალექსანდრ ანიუკოვი (რუსეთი)	2
სერგეი სემაკი (რუსეთი)	2
უესლი სნეიდერი (ჰოლანდია)	2

დარტყმები (სულ)

რომან პავლიუჩენკო (რუსეთი)	24
კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია)	20
უესლი სნეიდერი (ჰოლანდია)	19

დარტყმა კარში

რომან პავლიუჩენკო (რუსეთი)	11
დავიდ ვილია (ესპანეთი)	10
კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია)	8

არაზუსტი დარტყმა

ლუკა ტონი (იტალია)	12
რომან პავლიუჩენკო (რუსეთი)	11
რობინ ვან პერსი (ჰოლანდია)	8

კუთხურები

კონსტანტინ ზირიანოვი (რუსეთი)	20
დარიო სრნა (ხორვატია)	19
ნიჰათ ქაჰვეჩი (თურქეთი)	17
იური ჟირკოვი (რუსეთი)	17

თამაშგარე

რომან პავლიუჩენკო (რუსეთი)	6
ადრიან მუტუ (რუმინეთი)	5
რობინ ვან პერსი (ჰოლანდია)	5
ლუკა ტონი (იტალია)	5

სეივები

იგორ აკინფეევი (რუსეთი)	27
ანდრეას ისაკსონი (შვედეთი)	20
ედვინ ვან დერ სარი (ჰოლანდია)	20

ჯარიმები

მიხაელ ბალაკი (გერმანია)	14
დავიდ ვილია (ესპანეთი)	14
ნანი (პორტუგალია)	12
თუნჯაი შანლი (თურქეთი)	12
რომან პავლიუჩენკო (რუსეთი)	12
იური ჟირკოვი (რუსეთი)	12

მასზე დაჯარიმდნენ

ვალონ ბეჰრამი (შვეიცარია)	14
ლუკა ტონი (იტალია)	14
გიოქჰან ინლერი (შვეიცარია)	13
გიორგოს კარაგუნისი (საბერძნეთი)	13

პასები (სულ)

ფილიპ ლამი (გერმანია)	254
იური ჟირკოვი (რუსეთი)	246
ფაბიო გროსო (იტალია)	239

ზუსტი პასები (%)

ვილიამ გალასი (საფრანგეთი)	93
მარკოს სენა (ესპანეთი)	91
კრისტოფ მეცელდერი (გერმანია)	90
პერ მერტეზაკერი (გერმანია)	90
ლილიან ტურამი (საფრანგეთი)	90
ხავი ერნანდესი (ესპანეთი)	90

გრძელი პასები

იგორ აკინფეევი (რუსეთი)	98
იენს ლემანი (გერმანია)	92
ედვინ ვან დერ სარი (ჰოლანდია)	92

ზუსტი გრძელი პასები (%)

დორინ გოიანი (რუმინეთი)	88
ანდრეას ივანშიცი (ავსტრია)	87
ხავი ერნანდესი (ესპანეთი)	84

საშუალო პასები

ფილიპ ლამი (გერმანია)	157
იური ჟირკოვი (რუსეთი)	138
ორლანდო ენგელაარი (ჰოლანდია)	136

ზუსტი საშუალო პასები (%)

დიეგო ბენალიო (შვეიცარია)	100
გრეგორი კუპე (საფრანგეთი)	100
ანტონის ნიკოპოლიდისი (საბერძნეთი)	100

მოკლე პასები

დანიელ პრანიჩი (ხორვატია)	69
ფაბიო გროსო (იტალია)	64
იური ჟირკოვი (რუსეთი)	62

ზუსტი მოკლე პასები (%)

კრისტოფ მეცელდერი (გერმანია)	100
პერ მერტეზაკერი (გერმანია)	97
კარლოს მარჩენა (ესპანეთი)	95
ვილიამ გალასი (საფრანგეთი)	95
კოსტას კაცურანისი (საბერძნეთი)	95
კრისტიან პანუჩი (იტალია)	95

ჩაფოდებები

ჯანლუკა ძამბროტა (იტალია)	18
ფაბიო გროსო (იტალია)	14
ლუდოვიკ მანინი (შვეიცარია)	14

პასები ორ ფეხბურთელს შორის

პრანიჩი — რაკიტიჩი (ხორვატია)	40
მაკელელე — ტულალანს (საფრანგეთი)	38
ლამი — პოდოლსკის გერმანია)	38

ყვითელი ბარათები

მეჰმეთ აურელიო (თურქეთი)	2
ტრანკილიო ბარნეტა (შვეიცარია)	2
კრისტიან კივუ (რუმინეთი)	2
ჯენარო გატუზო (იტალია)	2
დორინ გოიანი (რუმინეთი)	2
მარიუშ ლევანდოვსკი (პოლონეთი)	2
ანდრეა პირლო (იტალია)	2
სებასტიან პრიოდლი (ავსტრია)	2
იოჰან ფონლანტენი (შვეიცარია)	2
გიორგოს კარაგუნისი (საბერძნეთი)	2
არდა თურანი (თურქეთი)	2
ემრე აშიქი (თურქეთი)	2
თუნჯაი შანლი (თურქეთი)	2
დენის კოლოდინი (რუსეთი)	2
დმიტრი ტორბინსკი (რუსეთი)	2

წითელი ბარათები

ბასტიან შვაინშტაიგერი (გერმანია)	1
ვოლქან დემირელი (თურქეთი)	1
ერიკ აბიდალი (საფრანგეთი)	1

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

Time	No.	Match	1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. სუპერეტა						
		24 ივნისი						
21:00	353	ფალკენბერგი-ასირისკა	2.55	3.30	2.55	1.43	1.27	1.43
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი						
		24 ივნისი						
23:55	594	ვალური-ჰაფნარფიორდური	2.65	3.20	2.40	1.44	1.25	1.37
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		27 ივნისი						
21:00	481	ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი	2.80	3.40	2.40	1.53	1.29	1.40
		28 ივნისი						
20:00	478	ლინი-ვიკინგი	2.25	3.40	2.90	1.35	1.26	1.56
20:00	480	სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი	2.35	3.40	2.75	1.38	1.26	1.52
20:00	482	ჰამ კამი-ბრანი	3.50	3.40	2.00	1.72	1.27	1.25
22:00	483	ალესუნდი-მოლდე	2.35	3.40	2.75	1.38	1.26	1.52
20:00	484	სტაბეკი-ტრომსიო	1.60	3.70	5.10	1.11	1.21	2.14
		25 ივნისი						
23:55	593	ფილკირი-გრინდავიკი	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
		UEFA. ევროპის ჩემპიონატი 2008						
		25 ივნისი						
22:45	29	გერმანია-თურქეთი	1.45	4.00	6.60	1.06	1.18	2.49
		26 ივნისი						
22:45	30	ესპანეთი-რუსეთი	2.10	3.30	3.40	1.28	1.29	1.67
		სამხრეთ ამერიკა						
		ლიბერტადორესის თასი						
		26 ივნისი						
04:30	496	ქიტო-ფლუმინენსე	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60

Time	No.	Match	1	2
		ჩოგბურთი. ქალები უიმბლდონი		
		24 ივნისი		
14:00	2001	აზარენკო-პირონკოვა	1.40	2.70
14:00	2017	ბამერი-არვიდსონი	1.55	2.15
14:00	2033	ბაჩინსკი-დიტი	1.40	2.60
14:00	2073	ვიკმაიერი-სუგიამა	1.35	2.65
14:00	2081	ვოზნიაკი-კორიტცევა	1.80	1.80
14:00	2089	ვოზნიაცკი-ხრდინოვა	1.05	6.50
14:00	2097	ვოსკობოევა-სუარეს ნავარო	1.55	2.15
14:00	2113	განტუხოვა-ერანი	1.20	3.50
14:00	2121	დემენტიევა-კამერინი	1.03	8.00
14:00	2137	დულკო-რეზაი	1.35	2.65
14:00	2145	დევენპორტი-ვორაკოვა	1.03	9.00
14:00	2161	ზვონარიოვა-ნაკამურა	1.07	5.00
14:00	2193	კინგი-კაეტავონგი	1.80	1.80
14:00	2209	კირსტეა-ბიჩკოვა	1.27	3.10
14:00	2217	კლეიბანოვა-ობცილერი	1.20	3.30
14:00	2233	კოენ ალორო-ხსიე სუ ვეი	1.45	2.35
14:00	2241	მაკაროვა-კუდრიავცევა	1.25	3.10
14:00	2249	მარტინეს სანჩესი-მილერი	1.20	3.10
14:00	2257	მირზა-კასტანო	1.12	4.20
14:00	2265	პეერი-ო ბრაიანი	1.15	3.80
14:00	2273	პენგი-კუტუზოვა	1.50	2.15
14:00	2281	პენეტა-ვაკულენკო	1.20	3.40
14:00	2289	პეტროვა-გოვორცოვა	1.12	4.20
14:00	2297	სანტანჟელო-ანი	1.60	2.10
14:00	2305	საფაროვა-ლუა	1.25	3.10
14:00	2313	საფინა-ჩან იუნ ჯი	1.02	9.00
14:00	2321	სრებოტნიკი-გერგესი	1.05	5.50
14:00	2329	ვ.უილიამსი-კეველი	1.02	10.00
14:00	2337	შარაპოვა-ფორეზი	1.02	10.00
14:00	2345	ერაკოვიჩი-კრაიჩეკი	1.70	1.90
14:00	2353	იანკოვიჩი-სავჩუკი	1.01	10.00

Time	No.	Match	1	2
		ჩოგბურთი. კაცები უიმბლდონი		
		24 ივნისი		
14:00	2537	გალვანი-ბეიკერი	1.60	2.10
14:00	2546	გასკე-ფიში	1.25	3.20
14:00	2564	გულბისი-ისნერი	1.25	3.00
14:00	2600	კიფერი-ბენეტო	1.40	2.40
14:00	2609	კლემანი-ბიორკმანი	1.45	2.40
14:00	2627	ლევაინი-იანგი	1.80	1.80
14:00	2636	ლიუბიჩიჩი-მელზერი	1.40	2.40
14:00	2663	ნადალი-ა.ბეკი	1.01	12.00
14:00	2699	ტროიცკი-ენ ლაპენტი	1.40	2.40
14:00	2726	ჰაასი-კანასი	1.55	2.00
14:00	2744	ალმაგრო-გრანოლერსი	1.20	3.50
14:00	2753	კ ანდერსონი-კალერი	1.55	2.20
14:00	2780	ჯ ბლეიკი-კ როჰუსი	1.05	6.00
14:00	2789	გარსია ლოპესი-ვან დერ მერვე	1.45	2.40
14:00	2807	გროსჟანი-სტარაჩე	1.25	3.20
14:00	2816	დავიდენკო-ბ ბეკერი	1.15	4.00
14:00	2834	იტონი-პასანსკი	1.55	2.10
14:00	2897	მალისი-დ გრემელმაიერი	1.30	2.70
14:00	2906	მატი-ო ერნანდესი	1.02	10.00
14:00	2924	ე მიურეი-სანტორო	1.05	6.00
14:00	2942	ი ნიემინენი-ოდესნიკი	1.30	2.80
14:00	2951	რობრედო-ვლიეგენი	1.10	4.90
14:00	2960	როდიკი-შვანკი	1.02	10.00
14:00	2987	სიმონი-ოლეინიჩაკი	1.10	4.00
14:00	2996	ტიპსარევიჩი-ასკიონი	1.10	4.90
14:00	3014	ჩარდი-გილი	1.45	2.45
14:00	3023	ჩილიჩი-როჯერ ვასელინი	1.15	4.10
14:00	3032	შტეპანეკი-გერნიხი	1.15	4.40
14:00	3041	შუტლერი-ვენტურა	1.25	3.20

I ტაიმის შედეგი

No.	Match	1	X	2	1-X	1-2	X-2
10353	ფალკენბერგი-ასირისკა	3.00	2.00	2.95	1.20	1.48	1.19
10029	გერმანია-თურქეთი	1.80	2.20	6.00	1.00	1.38	1.60
10030	ესპანეთი-რუსეთი	2.50	2.00	3.60	1.11	1.47	1.28

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

No.	Match	I-ში	თანაბრად	II-ში
15353	ფალკენბერგი-ასირისკა	3.00	2.80	2.00
15029	გერმანია-თურქეთი	3.00	2.80	2.00
15030	ესპანეთი-რუსეთი	3.00	2.80	2.00

I ტაიმი/ძირითადი დრო

No.	Match	1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11353	ფალკენბერგი-ასირისკა	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11029	გერმანია-თურქეთი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11030	ესპანეთი-რუსეთი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14353	ფალკენბერგი-ასირისკა	1.90	1.90
14029	გერმანია-თურქეთი	1.20	2.60
14030	ესპანეთი-რუსეთი	1.75	2.10

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2

(0:0 ითვლება წყვილად)

17353	ფალკენბერგი-ასირისკა	1.85	1.95
17029	გერმანია-თურქეთი	1.85	1.95
17030	ესპანეთი-რუსეთი	1.85	1.95

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16353	ფალკენბერგი-ასირისკა	1.80	1.85
16029	გერმანია-თურქეთი	1.12	4.60
16030	ესპანეთი-რუსეთი	1.50	2.30

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)

(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

No.	Match		ნაკ.	მეტ.
12353	ფალკენბერგი-ასირისკა	2,5	1.90	1.65
12029	გერმანია-თურქეთი	2,5	1.70	1.90
12030	ესპანეთი-რუსეთი	2,5	1.70	1.90

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე



27 ივნისს ნბა-ს დრაფტია, რომელიც, სამწუხაროდ, ქართველის გარეშე ჩაივლის. დიდი იმედით ემზადებოდა გიორგი შერმადინი ამ ღონისძიებისთვის, მაგრამ საბოლოოდ ისე გამოვიდა, მისი კანდიდატურა სადრაფტო სიიდან მოიხსნა. შერმადინი დღე-დღეზე თბილისში დაბრუნდება და მისი მომავალიც მალე გაირკვევა. სავარაუდოდ ის ევროპულ კლუბში გადავა და მომავალ დრაფტს უფრო მომზადებული შეხვდება. შერმადინის მწვრთნელი ჯამლეტ ხუხაშვილი ახლა მისი შეგირდის ევროტრანსფერითაა დაკავებული და ვარიანტევის არ აკლია.

ხუხაშვილს შერმადინი არ ეთმობა

მომავლის დრაფტამდე ევროპა იქნება

— სამ ებრაულ კლუბს სურს შერმადინის დამატება და ისრაელში ამ საქმეზე მალე გავემგზავრები — გვითხრა *ჯამლეტ ხუხაშვილმა.*

— სანამ შერმადინის მომავალზე გკითხავდეთ, დრაფტის ამბები გვაინტერესებს. უფრო სწორად ის, თუ რატომ მოხსენით შერმადინის კანდიდატურა...

— გიორგიმ ამერიკაში თითქმის სამი თვე გაატარა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილებაც მოახდინა იქაურებზე, მაგრამ ჩვენ ვერ მივიღეთ დრაფტის პირველ რაუნდში არჩევის გარანტია და ამიტომაც გამოვიტანეთ განაცხადი.

— მეორე რაუნდი არ გაწყობდათ?

— მეორეში ალბათ უეჭველად აირჩევდნენ გიორგის, მაგრამ გარისკვა რა საჭირო იყო. საჩქარო არაფერი გვაქვს. შერმადინი 19 წლისაა და მომავალ სამ წელიწადში შეუძლია დრაფტზე დადგომა. ყველა გუნდის წარმომადგენელი ამბობდა, რომ ეს ძალიან ძლიერი დრაფტია და თუკი გიორგი ერთ წელს მოიცდის, მომავალ ჯერზე მას აუცილებლად აირჩევენ მოწინავე თხუთმეტეულში. ჩვენც დავფიქრდით და ვამჯობინეთ, რომ მოგვეცადა. თან შერმადინს მსურველები არც ევროპაში აკლია, სადაც მომავალ სეზონს გაატარებს, გამოცდილებას შეიმატებს და 2009 წლის დრაფტზეც დადგება.

— რომელიმე კონკრეტული გუნდია დაინტერესებული?

— ისრაელში სწორედ ამიტომ მივდივარ. იქ უმაღლესი ლიგის 3 გუნდია შერმადინით დაინტერესებული და ვნახოთ, რა გამოვა. ისე კი, ესპანეთის პრიმერადივიზიონის გუნდებსაც აქვთ შერმადინის შემატების სურვილი, ასევე ბერძნებიც დაინტერესდნენ. მოსკოვის „დინამოს“ პრეზიდენტმა კი ტრევიზოს კემპზე ყოფნისას პირდაპირ მკითხა, რამდენი გინდა, შერმადინი რომ დამითმოო.

— მართლაცდა, რამდენად თმობთ შერმადინს?

— არაფერსაც არ ვთმობ — ის იჯარის წესით გადავა უცხოურ გუნდში, ისე კი მისი მფლობელი თბილისის „მაკაბი“ იქნება. დიდი მნიშვნელობა არა აქვს, გრანდი იქნება შერმადინის მომავალი კლუბი თუ არა. მთავარია, მას ბლომად სათამაშო დრო ჰქონდეს და მაქსიმალურად იყოს დატვირთული. ვნახოთ, რა როგორ იქნება. ყველაფერი უახლოეს მომავალში გადაწყდება.-

ირაკლი პერტაია

ბარბაქაძის აზერბაიჯანული C



დავით ბარბაქაძე აზერბაიჯანის სახელით C დივიზიონის ჩემპიონია. შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგში მიმდინარე ევროპის უმდაბლესი რანგის ტურნირზე აზერბაიჯანმა ფინალში მოლდოვის ნაკრები დაამარცხა და ზოგადად ვერაფერი, მაგრამ მისთვის ერთობ ღირებული ტიტული მოიპოვა.

აზერბაიჯანელები მოლდოველებთან ჯგუფში დამარცხდნენ, თუმცა მეორე ადგილი ნახევარფინალში გასასვლელად ეყოთ და მასპინძელი შოტლანდიის ძლევით ფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვეს. მოლდოვა ისევ უგებდა აზერებს, თუმცა მეორე ტაიმში ჩვენმა მეზობლებმა 10-ქულიანი დეფიციტი აღმოფხვრეს და ეს ჩვენებურის დამსახურებაც იყო.

ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა, როცა ფუად ნიფთალიევმა ჯერ სამიანი ჩააგდო, ხოლო ზედ საფინალო სირენამდე საჯარიმოც მოინადირა და აზერბაიჯანელებს 80:78 გაამარჯვებინა.

დავით ბარბაქაძემ 38 წუთი ითამაშა და ეს გამოდგა მისთვის ყველაზე გვალვიანი მატჩი ამ ტურნირზე. „ველურამ“ 14 ქულას 8 მოხსნა და 3 პასი მიაყოლა და ტურნირის სტატისტიკურ ლიდერებში თავი შეინარჩუნა. საშუალოდ 10 მოხსნით ბარბაქაძე საუკეთესო მეფარე გახდა, ხოლო ბომბარდირებში მხოლოდ სანმარინოელ ანდრეა რასკის ჩამორჩა. ნატურალიზებული აზერბაიჯანელის ანგარიშზე საშუალოდ 19 ქულა იყო.

ირაკლი პერტაია

ნავარო წავიდა, გარბახოსა გაუშვეს

ხუან კარლოს ნავარო ევროპაში ბრუნდება. ძნელი სათქმელია, რა არ მოეწონა ესპანელ ვარსკვლავს ამერიკაში — „მემფისის“ უპერსპექტივობა, მისისიპისპირეთი, თუ ამერიკული კვება, მაგრამ ფაქტია, რომ ნბა-ში გატარებული მხოლოდ ერთი და ისიც საკმაოდ წარმატებული სეზონის შემდეგ, 28 წლის ნავარომ სამშობლოში დაბრუნება და კარიერის „ბარსელონაში“ გაგრძელება არჩია. იქნებ მას იმაზეც დასწყდა გული, შუა სეზონში „მემფისის“ ლიდერი პაუ გასოლი „ლეიკერსში“ რომ გაიქცა და ნავაროს ხმის გამცემი და ძველი მეგობარი გვერდიდან გამოეცალა. თავად არაფერს არ ამბობს, უბრალოდ, ჩაალაგა ჩემოდანი და ჩავჯდა ტრანსატლანტიკურ თვითმფრინავში.

არადა, ნბა-ში მას კიდევ 4-5 ნაყოფიერი სეზონის გატარება შეეძლო. 2007-08 წლების რეგულარულ ჩემპიონატში ის საშუალოდ 10,9 ქულას, 2,6 მოხსნასა და 2,1 პასს აგროვებდა, ასეთი სტატისტიკით წელიწადში სულ ცოტა, 3-4 მილიონს იშოვიდა, ევროპაში კი ამის ნახევარსაც ვერ გადაუხდიან. მან მალე აუღო ალღო ამერიკულ კალათბურთს და ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერის რეპუტაციაც დაიმკვიდრა. ჯამში მან 156 სამქულიანი ჩააგდო და ორი დაკლდა, ახალბედათა შორის ნბა-ს ყველა დროის რეკორდს შესწვდომოდა.

ახლა ნავარო ისევ ბარსელონელია და ძველ კლუბთან ახალი, 5-წლიანი კონტრაქტიც გააფორმა.

ესპანეთის ნაკრებში ნავაროს თანაგუნდელი ხორხე გარბახოსაც ტოვებს ნბა-ში თავის გუნდს, ოღონდ არა საკუთარი ნებით. „ტორონტოში“ მან ორი სეზონი გაატარა და კონტრაქტის მიხედვით, მომავალი სეზონის ბოლომდე უნდა დარჩენილიყო (სულ 12,75 მილიონი ამ სამ წელიწადში), მაგრამ ესპანელი ფორვარდის ბოლო სეზონი კლუბმა გამოისყიდა, ანუ გარბახოსას საკომპენსაციო თანხა მისცა და გაუშვა. ჩანს, კლუბი შეაშინა ვეტერანი ესპანელის ტრავმამ, რომელმაც თითქმის მთელი გასული რეგულარული ჩემპიონატი გამოატოვებინა მას და საკმაოდ კარგ გუნდურ მოთამაშეს ამიტომაც შეელია.

ვანო კოგიაშვილი



ფინალის უძვირფასეს მოთამაშე პოლ პირსისთვის ქვეყნის ნაკრებში ადგილი არ მოინახა

პეკინისთვის ადგილები შეიზღუდა

ამერიკა ივსება და გუნდს ემსგავსება

ერეკვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ მორიგი სეზონი დახურა და 400-მდე მოთამაშე ოჯახებსა და სხვადასხვა პლაჟზე მიმოიფანტა, საკალათბურთო ფუნქციონერთა კაბინეტებში კი ახლა ხურდება მუშაობა. წინაა დრაფტი და ყველა კლუბი საგანგებოდ ემზადება მოთამაშეთა ახალი ტალღის დასახვედრად.

ამერიკის კალათბურთის ფედერაციის ოთახებსა და დერეფნებში კი სულ სხვა დაძაბულობაა — უნდა შეირჩეს 12 მოთამაშე, რომელიც აშშ-ს წარადგენს პეკინის ოლიმპიადაზე.

ამერიკის ნაკრების მთავარი მენეჯერი ჯერი კოლანჯელო და მთავარი მწვრთნელი მაიკ კრაჟეევსკი მალე დაასახელებენ 12-კაციან შემადგენლობას, ჯერ კი ისინი საბოლოოდ წონიან თითოეულ კანდიდატს.

სიმართლე ითქვას, შესარჩევი მხოლოდ რამდენიმეღა დარჩა, რაკი გუნდის წევრთა უმრავლესობამ უკვე დაიბევა ადგილი ოლიმპიურ ნაკრებში. ოფიციალურად ექვსს აქვს გარანტირებული პეკინში წასვლა და ესენი არიან: კარმელო ენტონი (დენვერი), ჯეისონ კიდი (დალასი), კრის პოლი (ნიუ ორლეანი), ტაიშონ პრინსი (დეტროიტი), დუეინ ვეიდი (მაიამი) და მაიკლ რედი (მილუოკი).

ნაკრებში თამაშზე სხვადასხვა მიზეზით უარი თქვეს ამარე სტუდემაიერმა (ფინიქსი), ჩონსი ბილაფსმა (დეტროიტი) და პოლ პირსმა (ბოსტონი). ეს უკანასკნელი ისევდაც ვერ ხვდებოდა გუნდში, მიუხედავად იმისა, რომ მძლავრად ჩაატარა პლეი ოფი, თავის „ბოსტონსაც“ დამაჯერებლად უკაპიტნა და ნბა-ს ყველაზე ტიტულიანი გუნდის მეჩვიდმეტედ გაჩემპიონებაში ლომის წილი დაიდო. პირსმა თავად თქვა უარი, სანამ ოფიციალურად ეტყოდნენ.

დარჩენილი 20 კანდიდატიდან ნაკრების კიდევ სამი უცილობელი წევრის დასახელება შეიძლება. გუნდში ალბათ მოხვდებიან ლეიკერსელი კობი ბრაიანტი, კლივლენდელი ლებრონ ჯეიმსი და ორლანდოელი დუაიტ ჰოვარდი ჰოვარდი, მაგრამ აქ შეფები სწორედ იმაზე იმტვრევენ თავს, რომ ცხრა შერჩეულიდან მხოლოდ ჰოვარდია ნამდვილი მეფარე და უხეშად რომ ვთქვათ, გუნდი უკულმა თავკომბალას ემსგავსება. შემადგენლობის გასაწონასწორებლად, ალბათ, დარჩენილ სამ ადგილს მაღლები შეავსებენ, სავარაუდოდ, კარლოს ბუზერი (იუტა), კრის ბოში (ტორონტო) და ტაისონ ჩანდლერი (ნიუ ორლეანი).

ვანო კოგიაშვილი

ჟვიროსიტი QUARTZITE
ლიბერ
უძრავი ქონება

შვიდკაცას ბედიც მოსკოვში წყდება

სანამ კორფუზე FIRA-AER-ის ფორუმი მიმდინარეობდა, იქვე ევროპული შვიდკაცას ბოლოსწინა შესარჩევი ეტაპი ჩატარდა, რომელიც ესპანეთმა მოიგო.

აქვე ვთქვათ, რომ გასამართი დარჩა კიდევ ერთი, მოსკოვის ეტაპი, რომლის შემდეგ ევროპის 11 მოწინავე ჰანოვერის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. ჰანოვერში 12 გუნდა შვიდკაცაა, თუმც მასპინძელი გერმანია ყოველგვარი შესარჩევის გარეშე თამაშობს. ჰანოვერის შვიდკაცას ხუთი საუკეთესო ნაკრები კი გაისად დუბაიში გასამართ მსოფლიოს თასზე ითამაშებს.

საქართველოს ნაკრები ახლა რეიტინგში მე-8 ადგილზეა, თუმც მდევრები — პორტუგალია, რუსეთი, უკრაინა, პოლონეთი და მოლდოვა — მოსკოვის შვიდკაცაზე ითამაშებენ და დიდი შანსია, ჩვენები უკან მოიტოვონ. შეგახსენებთ, რომ ყველა ნაკრები მხოლოდ ორ ეტაპზე თამაშობს და იქ დაგროვილი ქულებით ცდილობს ჰანოვერში მოხვედრას. საქართველოს ნაკრებმა უკვე მოილია ორივე ეტაპი — პოლონეთში მეხუთე ადგილი დაიკავა, თბილისში კი მესამე და როგორც ვთქვით, 24 ქულით ჯერჯერობით მერვე ადგილზეა. რეიტინგი კი ასე გამოიყურება:

უელსი	36
ირლანდია	34
ესპანეთი	34
იტალია	32
გერმანია	28
რუმინეთი	28
ბელგია	26
საქართველო	24
შვედეთი	24
ჰოლანდია	24
ხორვატია	20
ანდორა	20

პორტუგალია	18
რუსეთი	16
უკრაინა	16
პოლონეთი	16
მოლდოვა	12

მდევრებიდან მოსკოვის ბოლო შესარჩევ ეტაპზე ითამაშებენ მასპინძელი რუსეთი, უკრაინა, პორტუგალია, პოლონეთი და მოლდოვა. ამასთან რუსეთი, პორტუგალია და უკრაინა უეჭველად გადაასწრებენ ჩვენებს, რადგან იოლი განრიგი აქვთ და პლეი ოფში გასვლა არ გაუჭირდებათ. ჩვენთვის მთავარია, პოლონეთმა ჯგუფში ჩატოვოს მოლდოვა, ან ლიტვამ გაიალაღოს და პოლონეთი ნახევარფინალში არ გაუშვას. ამ შეთხვევაში საქართველო მეთერთმეტე ადგილზე გავა და ჰანოვერის ფინალურ ეტაპზე მოხვდება. მოსკოვის ეტაპის ჯგუფები კი ასეთია: A ჯგუფი: რუსეთი, უკრაინა, ლიტვა, ნორვეგია, აზერბაიჯანი; B ჯგუფი: პორტუგალია, პოლონეთი, მოლდოვა, მონაკო, სლოვაკეთი.

ეტაპის გამარჯვებულს 18 ქულა ერგება, მეორეზე გასულს — 16, მესამეს — 14, მეოთხეს — 12, მეხუთეს — 10, მეექვსეს — 8, მეშვიდეს — 6.

ბაჩო სვანიძე

ლაშა მალაღურაძის რუმინული სინი



რუმინეთში დასრულებული IRB-ის ერთა თასის საუკეთესო მოთამაშედ საქართველოს ნაკრების ათი ნომერი ლაშა მალაღურაძე დაასახელეს და მას საამისოდ საგანგებო სინიც გადასცეს. ქართველი გამთამაშებელი ჟიურიმ და მისმა თავმჯდომარემ რუმინული რაგბის ბერმუხამ ვიორელ მორარიუმ აღიარეს.

„ყოჩების“ აღზრდილი ლაშა მალაღურაძე ტურნირის რჩეულებშიც მოხვდა. ჩვენი შერკინების ბურჯი დავით გასვიანი კი ორი ლელოთი მელელოვეების ამქარში გაერია.

აქვე ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრებმა, რომელიც ტურნირზე ლამის მესამე შემადგენლობით თამაშობდა, მეორე ადგილი დაიკავა. ჩვენებმა წააგეს სამხრეთ აფრიკის „მზარდ ნაკრებთან“, მოუგეს ურუგვაის და იტალიას A ნაკრებს. ჩემპიონი კი სამხრეთ აფრიკის „მზარდი ნაკრები“ გახდა. არადა, საქართველოს ორი-სამი გამოცდილი მორაგბე კიდევ რომ ჰყოლოდა, აფრიკასაც მოუგებდა და ჩემპიონიც ხდებოდა.

მექულეები

მატიას არასენა (ურუგვაი)	34
ალექსანდრ იანუშკინი (რუსეთი)	28
პაოლო ბუზო (იტალია)	27
ლაშა მალაღურაძე (საქართველო)	20
ისმაილ დოლი (ს. აფრიკა)	16

მელელოვეები

დავით გასვიანი (საქართველო)	2
ფლორიან კოროდიანუ (რუმინეთი)	2
ჰოვარდ ნოუბლი (ს. აფრიკა)	2



ეს ფანტასტიკური უმცროსი ოლ ბლექსი

მსოფლიოს თასი. U-21. უელსი

ფინალი

ახალი ზელანდია 38:3 ინგლისი

ახალი ზელანდია: რენატა, ჰოკი, უილსონი, კროტი, გილფორდი, კირკპატრიკი, ჰარტი; პანუ, ბრეილი, საილი, ჯაიტლოკი, კ. სმიტი, (კაპ), აფეკი, დიქსონი, ფაანუნუ

შეცვლაზე შევიდნენ: მაკდონალდი, არუ, თაუსენდი, როდი, ა. სმიტი, მეტლანდი, ტეილორი

4ლ: ჰოკი, უილსონი, ტეილორი, კროტი; **3გ:** რენატა, კირკპატრიკი (2); **4ს:** ნერატა (3), კიკაცრიკი

ინგილსი: კატო, ოდეუობო, ევესი, ტერნერ-ჰილი, ბენჯამინი, გუდი, სიმპსონი; ელისი (კაპ), კლარკი, ფიშერი, გილანდერსი, ტომასი, კორბისიერო, გრეი, სეთი

შეცვლაზე შევიდნენ: ფრერი, ორი, ჰობსონი, კოქსი, იანგი, მილერი, სტიგმანი

1ს: გუდი

უელსში დასრულებული 20-წლამდელთა სადებიუტო მსოფლიოს თასი ახალ ზელანდიის ნაკრებმა მოიგო, რომელმაც ფინალში ინგლისის ნაკრებს გადაურა. „მართალია, დიდ ანგარიშით მოვიგეთ, მაგრამ მეტოქემ არაფერი დაგვითმო და მერწმუნეთ, ბოლო წუთამდე დანდობა არ იყო. ინგლისმა დღეს კარგად ითამაშა, მაგრამ ჩვენ ფანტასტიკურები ვიყავით და დამსახურებულად მოვიგეთ. შარშან 19-წლამდელთა მსოფლიოს თასის ჩემპიონები გავხდით, წლეულს უკვე 20-წლამდელთა თასი მოვიგეთ, რაც, დამერწმუნეთ, ძალიან რთული გასაკეთებელია“ — ხარობდა ნამატჩევს ახალზელანდიელთა კაპიტანი კრის სმიტი.

ჰუგო ელისი, ანგლისის ნაკრების კაპიტანი: „კარგად დავიწყეთ, მაგრამ ჩვენი დღე ნაღდად არ იყო. მეტოქემ რაც უნდოდა, ის გააკეთა და დაცვაშიც ძალიან საიმედოდ თამაშობდა. სამწუხაროდ, ფინალი წავაგეთ, მაგრამ ღირსეულად ვითამაშეთ“.

ბაჩო სვანიძე

ქართველებმა კალენდარი გაიტანეს

საბერძნეთში, კუნძულ კორფუზე ევროპის რაგბის ასოციაციის (FIRA-AER) მეოთხმოცე ყრილობა დასრულდა, რომელზედაც 2009-10 წლის ერთა თასის პირველი წრის კალენდარი დაამტკიცეს.

შეგახსენებთ, რომ 2009-10 წლების ერთა თასი იმავდროულად 2011 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპიცაა. ერთა თასის ჩემპიონი პირდაპირ გადის ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე, მეორეადგილოსანი კი სხებთან შედარებით იოლი განრიგით შეეცდება იქ მოხვედრას.

2007-08 წლების ერთა თასის ჩემპიონი საქართველოა, თუმც წლეულს მეორე წრე ისე ჩაატარა, რომ ძირითადი რაზმი ერთხელაც ვერ შეკრიბა. ამის მიზეზი ის იყო, რომ წლევანდელი განრიგი არ დაემთხვა ელიტარული ექვსი ერის კალენდარს და რაკი სანაკრებო „ფანჯარა“ არ იყო, ფრანგული კლუბები ჩვენს ლეგიონერებს არ ათავისუფლებდნენ.

კორფუზე გამართულ ფორუმს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჟარაძე და ვიცე-პრეზიდენტი კოკა ლაზიშვილი დაესწრნენ და ისე მოაკვარახჭინეს საქმე, რომ ჩვენი ნაკრების ყველა მატჩი ელიტარული ექვსი ერის თარიღებს დაამთხვიეს. ამით ფრანგული კლუბები ვეღარ გაჯიუტდებიან და ჩვენები საუკეთესო შემადგენლობას შეკრებენ.

აქვე ვთქვათ, რომ საბერძნეთში საგაისო კალენდარი დამტკიცდა, 2010 წლის განრიგი კი, გაისად შედგება, თუმც თარიღები ასევე ექვსი ერის კალენდარს უნდა დაემთხვეს, ოღონდ სტუმარ-მასპინძელი შეიცვლება. დიდი-დიდი, ცდომილება ორი დღე იყოს. პირველ წრეში საქართველოს ნაკრები სამ მატჩს სტუმრად გამართავს, ორს კი — შინ. ჩვენები მასპინძლობენ პორტუგალიას და რუმინეთს, სტუმრად კი ერთა თასის დებიუტანტ გერმანიას, ესპანეთსა და რუსეთს ეთამაშებიან.

7 თებერვალი
გერმანია – საქართველო
14 თებერვალი
საქართველო – პორტუგალია
28 თებერვალი
ესპანეთი – საქართველო
14 მარტი
საქართველო – რუმინეთი
21 მარტი
რუსეთი – საქართველო



მერაბი ჯანიშვილის ფოტოები

ახალი ხილის გემო

გასულ უქმეებზე ბორჯომის ხეობაში, მდინარე მტკვარზე, საქართველოს მე-2 ეროვნული ჩემპიონატი ჩატარდა ჯოჰარდობაში მოყვარულთა შორის. მართალია, სპორტის ეს სახეობა ჩვენს ქვეყანაში ახალი ხილია, მაგრამ უკვე საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავს. ამ ტურნირზეც მრავლად იყვნენ მონაწილენი (32 გუნდი) და, როგორც ნებისმიერი სპორტის დამწყებებს სჩვევიათ, დიდი მონდომებით, მაგრამ დილეტანტურად შეუდგნენ საქმეს. შაბათს საკვალიფიკაციო დაშვება გაიმართა. უკეთესი დროის მქონენი მეორე დღეს სტარტზე უკეთეს ადგილს იღებდნენ. შესარჩევში მონაწილეთგან ზოგი პირველად დაეშვა მდინარეზე, ზოგსაც შიშისგან საერთოდ გადაავიწყდა ნიჩბის მოსმა და აზვირთებული ტალღების შემხედვარემ სირაქლემას პოზაში ნავის კიდეს ამოაფარა თავი, მაგრამ საერთო ჯამში ტურნირმა ყველა დადებითი ემოციებით გაჟღენთილი გამოისტუმრა უკან.

რა თქმა უნდა, შეჯიბრებას ფავორიტი გუნდი ჰყავდა და თანაც ისეთი, რომ მათ არაპროფესიონალიზმს მარტო გამოცდილი ინსტრუქტორები თუ ამჩნევდნენ, მაგრამ ფინალური დაშვება მაინც ბოლომდე დაძაბული გამოდგა. აღსანიშნავია, რომ ტურნირის გამარჯვებული ავტომატურად გადადიოდა უმაღლეს ლიგაში და ეს პატივი წილად ხვდა გუნდს, რომლის სახელწოდებაა „მედრაფტი". თი-ბი-სი-ს გუნდი მეორეზე გავიდა, ხოლო მე-3 ადგილს „კა-52"-მა უწია. ქალებში „ვანაზიმ" იპირველა, თი-ბი-სი მეორე იყო, მესამე ადგილს კი „ლუკოილის" გუნდი დაეუფლა.

ჩემპიონ-პრიზიორებს სხვადასხვა პრიზები და სერთიფიკატები გადაეცათ.

ზურაბ მიგრიაული

ფრენბურთი

ჟორჟი და რენატო

გეორ-გიას + 480

ბრაზილიურ-ქართულმა წყვილმა, გეორ და გიამ, მსოფლიოს ტურის პარიზულ ეტაპზე მეოთხედფინალს უწია. ჯგუფში სამი თამაშის მოგების შემდეგ ისინი მერვედფინალში აშშ-ის წარმომადგენლებს — უილიამსსა და მეცგერს — დაუპირისპირდნენ და 2:0 (22:20, 21:6) მოუგეს. მეოთხედფინალში ჩვენების წაუგებელი სერია მე-6 ადგილზე განთესილი გერმანელების — კლემპერერისა და კორენგის — ტანდემმა შეწყვიტა — 2:0 (21:19, 21:15).

საბოლოოდ ჩვენებმა ჩინურ, რუსულ და ამერიკულ წყვილებთან ერთად, მეხუთე-მერვე ადგილები გაიყვეს, რისთვისაც 480 სარეიტინგო ქულა და ფულადი პრემია მიიღეს.

მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპი კი 23-29 ივნისს ნორვეგიაში გაიმართება.

ზურაბ მიგრიაული

მშვილდოსნობა

ბოლო იმედის საფრანგეთი

ქართველი მშვილდოსნები — ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე, შალვა ტაბლიაშვილი და ტარიელ თაგირაძე — საფრანგეთში მსოფლიოს თასის მე-4 ეტაპზე გამოვლენ. აქვე ევროპის გრანპრის ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპიც გაიმართება, სადაც ვაჟი მშვილდოსნები ოლიმპიადის იმ ერთადერთი ლიცენზიის მოპოვებას შეეცდებიან, რომელიც იქ გათამაშდება. შეგახსენებთ, რომ ესებუას და ნარიმანიძეს პეკინის საგზურები უკვე აქვთ.

ზურაბ მიგრიაული

ცურვა

მთვრალაშვილის ორი რეკორდი

საქართველოს ნაკრების წევრმა გიორგი მთვრალაშვილმა ბელარუსში სალიცენზიო ტურნირზე საქართველოს რეკორდი მეორედ დაამყარა. მან სარეკორდო შედეგი 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში აჩვენა — 2.11,38 წუთი. ამავე ტურნირზე პირველი რეკორდი მთრალაშვილს 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ჰქონდა.

ბელარუსულ ტურნირზე მონაწილეობდა გიორგი რევიშვილიც, რომელმაც 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ოქროს მედალი მოიგო, ხოლო 1500 მეტრზე ასევე თავისუფალ სტილში ბრინჯაოს მედალს გამოჰკრა ხელი.

საკუთარი შედეგები გააუმჯობესეს ანა სალნიკოვამ და გიორგი მდივანმა, მაგრამ ისინი უმედლოდ დარჩნენ.

ზურაბ მიგრიაული

წყალბურთი

17-წლიანი სიმშრალე ჯორჯიამ დააასვენა

გასულ კვირას „ლაგუნა ვერეზე" საქართველოს 2008 წლის ჩემპიონი გუნდი გამოირკვა. აღსანიშნავია, რომ ეროვნული პირველობა 17-წლიანი პაუზის შემდეგ გაიმართა. ტურნირში ექვსი გუნდი თამაშობდა. პირველი ადგილი და ოქროს მედლები თბილისის „ჯორჯიამ" მოიპოვა. რუსთავის „რუსთავი" მეორეზე გავიდა, ხოლო ბრინჯაოს მედლები არმიის სპორტული კლუბის წყალბურთელებმა მიიღეს. მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ადგილები შესაბამისად „ლაგუნა ვერემ", ქუთაისის „ქუთაისმა" და თბილისის „დელფინმა" დაიკავეს.



ფოტო: ალექსანდრე ბერიძე

საჩემპიონო შეხვედრა „ჯორჯიამ" „ქუთაისს" მოუგო ანგარიშით 13:10. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გამოირკვნენ სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები. საუკეთესო მეკარე ჯორჯიელი ზურაბ ჭუმბურიძე გახდა. საუკეთესო მცველად ასევე ჯორჯიელი გიორგი ხვედელიანი დასახელდა. საუკეთესო თავდამსხმელის ნომაციაში ნუკრი ცაგარელმა (რუსთავი) იმარჯვა, ხოლო ბომბარდირობა გურამ კოტარაიამ (ჯორჯია) მოიპოვა 26 გოლით. საუკეთესო მოთამაშედ ზურაბ რურუა (ჯორჯია) აღიარეს. ვეტერანებს შორის პირველობა კი არავის დაუთმო დავით რამინიშვილმა (რუსთავი).

ბოლოს საწყლოსნო სახეობების პრეზიდენტმა *დავით რურუამ* ქართულ წყალბურთში არსებული პრობლემების შესახებ ისაუბრა:

„მინდა გითხრათ, რომ ეროვნულ წყალბურთში, მიუხედავად ჩვენი მდიდარი ტრადიციებისა, არანაირი პირობები არ არსებობს. გუნდები ენთუზიაზმით თამაშობენ. მათ არა აქვთ ხელფასები. ჩატარებულ ჩემპიონატს ნაწილობრივ სპორტის დეპარტამენტი აფინანსებდა, ნაწილობრივ თბილისის მერია, მაგრამ ეს დაფინანსება საკმარისი არ არის".

ზურაბ მიგრიაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარეიტინგო ადი-ჩადი

ანა ტატიშვილი

სეზონის მესამე სლემტურნირის, უიმბლდონის დაწყების წინ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა და ჩვენთვის საინტერესო ის გახლავთ, რომ ერთბაშად ოთხი ქართველი კარიერის უმაღლეს საფეხურზეა. ესენი ანა ტიტიშვილი, ოქსანა კალაშნიკოვა, მანანა შაფაქიძე და ეკა გორგოძე არიან და ამათგან უფრო გამოსაყოფნი, ალბათ, ტატიშვილი და გორგოძე არიან — წინისწინა კვირაში ტატიშვილმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ელ პასოს 25-ათასიანი ტურნირი მოიგო, ხოლო გორგოძემ სტამბოლის 10-ათასიანი შეჯიბრის ფინალს უწია და მათი რეიტინგული წინსვლაც წორედ ამ წარმატებებმა განაპირობა.

სხვა მხრივ, კლასიფიკაციებში კვლავაც 15 ჩვენებურია, 11 ქალი და 4 კაცი, ხოლო ახალი რეიტინგები, უკვე უიმბლდონის დასრულების შემდეგ გამოქვეყნდება.

კაცები

452 (+1) ლადო ჩიხლაძე	62
1213 (+6) ნოდარ ითონიშვილი	4
1598 (-7) გიორგი ჭანტურია	1
1792 (+24) გიორგი ხრიკაძე	1

ქალები

179 (+3) მაკა ჩახნაშვილი	165
212 (+33) ანა ტატიშვილი	134
314 (-1) სოფო შაფათავა	71
482 (+2) თინა ყავლაშვილი	34
528 (-4) სალომე დევიძე	29
553 (+24) ოქსანა კალაშნიკოვა	27
592 (+23) მანანა შაფაქიძე	23
691 (-1) სოფო ქვაცაბაია	16
720 (+73) ეკა გორგოძე	14
912 (-2) მაგდა ოქრუაშვილი	6
995 (0) სოფო მელიქიშვილი	4

სარბიელელები მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ქართული სპორტული ჟურნალისტიკის უფროსი თაობის წარმომადგენელი, ამაგდარი ჟურანლისტი

უშანგ ჭიჭინაძე

და სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი სპორტული ჟურნალისტი

უშანგ ჭიჭინაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

კაცები

განთესვის რეიტინგი

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	6900
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	5755
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	5360
4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	3115
5. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	3005
6. ენდი როდიკი (აშშ)	2280
7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	2100
8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	2015
9. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)	1615
10. რიშარ გასკე (საფრანგეთი)	1610
11. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	1555
12. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)	1485
13. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	1415
14. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	1405
15. რადეკ შტეფანეკი (ჩეხეთი)	1360
16. პოლ-ანრი მატიუ (საფრანგეთი)	1345
17. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	1305
18. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი)	1300
19. ტომი რობრედო (ესპანეთი)	1300
20. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)	1290

საჩემპიონო რბოლა

1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	755
2. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	642
3. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	545
4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	370
5. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	284
6. ენდი როდიკი (აშშ)	233
7. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)	231
8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	209
9. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	200
10. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)	191
11. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	185
12. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	169
13. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	165
14. რადეკ შტეფანეკი (ჩეხეთი)	163
15. მიშელ ლოდრა (საფრანგეთი)	159
16. რობენ სოდერლინგი (შვედეთი)	147
17. ხუან მონაკო (არგენტინა)	145
18. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	138
19. ივო კარლოვიჩი (ხორვატია)	137
20. პოლ-ანრი მატიუ (საფრანგეთი)	135

ქალები

განთესვის რეიტინგი

1. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	4188
2. მარია შარაპოვა (რუსეთი)	3706
3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	3685
4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	3565
5. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	2745
6. სერენა უილიამსი (აშშ)	2676
7. ვინუს უილიამსი (აშშ)	2606
8. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	2436
9. დინარა საფინა (რუსეთი)	2257
10. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)	2030
11. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	2011
12. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	2007
13. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1940
14. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	1912
15. აგნეს სუავი (უნგრეთი)	1645
16. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)	1386
17. ალიზ კორნე (საფრანგეთი)	1248
18. ნადია პეტროვა (რუსეთი)	1211
19. მარია კირილენკო (რუსეთი)	1208
20. ფრანჩესკა შიავონე (იტალია)	1201

საჩემპიონო რბოლა

1. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	2671
2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	2505
3. მარია შარაპოვა (რუსეთი)	2395
4. სერენა უილიამსი (აშშ)	1765
5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	1681
6. დინარა საფინა (რუსეთი)	1633
7. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	1601
8. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	1477
9. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	1463
10. პატი შნიდერი (შვეიცარია)	943
11. ალიზ კორნე (საფრანგეთი)	925
12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	815
13. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)	793
14. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	786
15. ვინუს უილიამსი (აშშ)	766
16. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია)	747
17. ფლავია პენეტა (იტალია)	722
18. კაროლინ ვოზნიაკი (დანია)	700
19. აგნეს სუავი (უნგრეთი)	647
20. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი)	640

მაკა ჩახნაშვილი

პატარა კორტებზე

როდესაც უიმბლდონია, სხვა საჩოგბურთო ტურნირებზე ლაპარაკი ალბათ უხერხულია, მაგრამ ქართველ ჩოგბურთელებს უიმბლდონის ბალახამდე ჯერ ბევრი კორტი აქვთ გასავლელი და ორიოდე სიტყვა ამ, პატარა კორტებსა და პატარა ტურნირებზე ვთქვათ.

წინა კვირაში სოფო შაფათავამ სტამბოლის მაგარსაფარზე ჩატარებული 25-ათასიანი შეჯიბრის მეოთხედფინალს უწია და იქ 3:6 4:6 წააგო მე-8 ნომრად განთესილ რუსთან, რეიტინგის 273-ე საფეხურზე მყო არინა როდიონოვასთან.

ამ კვირაში კი ქართველები იტალიურ პადოვასა და ყაზახეთის ძველ დედაქალაქ ალმაათიში თამაშობენ. პადოვას თიხნარზე 25-ათასიანი ტურნირია და მაკა ჩახნაშვილი, ვინც უიმბლდონის საკვალიფიკაციო შეჯიბრის პირველივე წრეში დამარცხდა, მესამე ნომრადაა განთესილი. ალმათიში კი 10-ათასიანი ტურნირია, რომლის ძირითად ბადეში მოხვედრას თეონა ცერცვაძე და ანა ჯიქია კვალიფიკაციიდან შეეცდებიან.

კვიცი გვარზე

ალექსანდრე მეტრეველმა ავსტრიის ავიახაზების თასი მოიგო

2008 წლის „ავსტრიის ავიახაზების თასის“ გათამაშება სახელოვანი ქართველი ჩოგბურთელის ალექსანდრე მეტრეველის შვილიშვილის, უმცროსი ალექსანდრე მეტრეველის გამარჯვებით დასრულდა.

ტურნირი ტრადიციულია და მთელი გასული კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ლეილა მესხის სახელობის აკადემიის კორტებზე. მასში ქართველების გარდა იტალიის, ისრაელის, რუსეთის, უკრაინის, ბელარუსის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთისა და ყაზახეთის 14 და 16 წლამდელი ჩოგბურთელები მონაწილეობდნენ.

14 წლამდე გოგონებში ქართული წარმოშობის უკრაინელმა ალექსანდრა კორაშვილმა გაიმარჯვა. მეორე ადგილზე სომეხი ანაშიტ განჯალიანი გავიდა. ამავე ასაკის ჭაბუკებში იტალიელმა სტეფანი ნაპოლიტანომ არავის დაუთმო პირველობა, მან ფინალში თანამემამულე ჯანლუიჯი ქუინზი დაამარცხა.

16-წლამდელ გოგონებში შეჯიბრება სომეხმა ანი ამირჯანმა მოიგო. იგი ფინალში ებრაელ ნოი მორის გაუსწორდა.

უფროსი ასაკის ბიჭებში კი, როგორც ვთქვით, ალექსანდრე მეტრეველმა იმარჯვა. ის კი გადამწყვეტ მატჩში დავით ხუციშვილს დაუპირისპირდა და ორ სეტში მოუგო — 6:3, 6:0.

ზურაბ მიგრიაული

უიმბლდონი 2008. ბალახი. 23 ივნისი-6 ივლისი საპრიზო 14 883 120 £

კაცები
პირველი წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:3 6:2 6:2; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — კევინ კიმი (აშშ) 7:5 0:6 6:3 6:4; **ფელიჩიანო ლოპესი** (31, ესპანეთი) — ბრაიან დაბული (არგენტინა) 7:6 3:6 6:3 6:4; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) — ვინსენტ სპადეა (აშშ) 6:7 6:7 6:3 6:4 6:3; **ხუან-კარლოს ფერერო** (21, ესპანეთი) — სემ ქუერეი (აშშ) 2:6 6:4 6:4 6:4; **მარკოს ბაღდატისი** (10, კვიპროსი) — სტივ დარსისი (ბელგია) 6:3 6:2 6:7 6:3; **როკო კარანუსიჩი** (ხორვატია) — ლუის ჰორნა (პერუ) 7:6 6:3 6:1; **ანდრეა სეპი** (29, იტალია) — ანდრეას კემკე (გერმანია) 5:7 6:3 6:2 6:4; **მიშა ზვერევი** (გერმანია) — ალექსანდერ პეია (ავსტრია) 6:3 6:4 6:4; **ალბერტ მონტანესი** (ესპანეთი) — კარლოს ბერლოკი (არგენტინა) 6:3 7:6 6:4; **ფერნანდო გონსალესი** (15, ჩილე) — რობი ჯინეპრი (აშშ) 7:6 7:5 7:5; **ბოზი რეინოლდსი** (აშშ) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 6:2 6:2 (უარი); **ტომაზ ბელუჩი** (ბრაზილია) — იგორ კუნიცინი (რუსეთი) 7:6 7:6 3:6 6:2; **სიმონე ბოლელი** (იტალია) — ალექს ბოგდანოვიჩი (ბრიტანეთი) 7:6 4:6 6:3 7:6; **სიმონ სტადლერი** (გერმანია) — ივო კარლოვიჩი (18, ხორვატია) 4:6 7:6 6:3 7:5; **ტომაშ ბერდიხი** (11, ჩეხეთი) — ევგენი კოროლიოვი (რუსეთი) 4:6 6:1 6:4 3:6 7:5; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — მიხაელ ბერერი (გერმანია) 7:5 2:6 6:3 6:0; **ოლივიე როუსუსი** (ბელგია) — დუდი სელა (ისრაელი) 6:4 7:5 6:4; **ილია ბოზოლიაჩი** (სერბეთი) — კრის გუჩიონე (ავსტრალია) 3:6 6:4 6:4 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (20, ავსტრალია) — რობინ ჰაზე (ჰოლანდია) 6:7 6:3 6:3 6:7 6:2; **ვიქტორ ჰანესკუ** (რუმინეთი) ზ— ალეხანდრო ფალა (კოლუმბია) 6:3 6:7 6:0 6:4; **ფლორენ სერა** (საფრანგეთი) — იენ-ჰსუნ ლუ (ტაივანი) 6:4 6:4 6:7 6:3; **ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგენტინა) — პაველ შნობელი (ჩეხეთი) 6:4 6:2 6:3; **ფერნანდო ვერდასკო** (22, ესპანეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 6:4 6:3 6:2; **მარკ ფილჟელი** (საფრანგეთი) — კეი ნიშიკორი (იაპონია) 4:6 7:5 (უარი); **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — მიშელ ლოდრა (32, საფრანგეთი) 6:4 7:6 2:0 (უარი); **ფილიპ პეტშნერი** (გერმანია) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:7 6:1 6:4 (უარი); **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:7 7:6 6:2 6:2; **დავიდ ფერერი** (5, ესპანეთი) — სერგეი სტახოვსკი (უკრაინა) 7:6 6:3 1:3 (უარი); **მარატ საფინი** (რუსეთი) — ფაბიო ფონინი (იტალია) 6:1 6:2 7:6; **სტანისლას ვავრინკა** (13, შვეიცარია) — მარკოს დანიელი (ბრაზილია) 6:3 6:2 7:5; **ფრენკ დანსევიჩი** (კანადა) — დავიდ ნალბანდიანი (7, არგენტინა) 6:4 6:2 6:4


ანა ივანოვიჩი

ქალები
პირველი წრე

ანა ივანოვიჩი (1, სერბეთი) — როსანა დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 6:1 6:2; **ელენა ბალტაჩა** (ბრიტანეთი) — ანგელიკ კერბერი (გერმანია) 6:3 2:6 7:5; **ჟი ჟენგი** (ჩინეთი) — დომინიკა ციბულკოვა (30, სლოვაკეთი) 6:4 6:3; **ნატალი დეში** (საფრანგეთი) — მენგ იუანი (ჩინეთი) 6:7 6:3 6:0; **სამანტა სტოსური** (ავსტრალია) — იოანა რალუკა ოლარუ (რუმინეთი) 6:2 6:2; **ურსულა რადვანსკა** (პოლონეთი) — კლარა ზაკოპალოვა (ჩეხეთი) 6:1 6:4; **ელენა ვესნინა** (რუსეთი) — ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპანეთი) 6:7 6:4 6:4; **ევგენია როდინა** (რუსეთი) — ვირჟინი რაზანო (27, საფრანგეთი) 0:6 6:2 6:4; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (18, ჩეხეთი) — ზუზანა ონდრაშკოვა (ჩეხეთი) 6:2 6:2; **სერენა უილიამსი** (6, აშშ) — კაია კანეპი (ესტონეთი) 7:5 6:3; **პაულინ პარმენტიე** (საფრანგეთი) — აკგულ ამანმურადოვა (უზბეკეთი) 7:5 6:4; **ანასტასია პავლუჩენკოვა** (რუსეთი) — ალიზ კორნე (17, საფრანგეთი) 7:6 7:6; **ბეტანი მატეკი** (აშშ) — სევერინ ბრემონი (საფრანგეთი) 5:7 6:0 6:1; **კატერინა ბონდარენკო** (უკრაინა) — რიკა ფუჯივარა (იაპონია) 1:6 6:4 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა** (4, რუსეთი) — მატილდა იოჰანსონი (საფრანგეთი) 6:7 7:5 6:3; **ვერა დუშევინა** (რუსეთი) — მარია კირილენკო (19, რუსეთი) 6:3 6:3; **ნა ლი** (ჩინეთი) — ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) 3:6 6:0 6:1; **კეისი დელაკუა** (კანადა) — პატი შნიდერი (12, შვეიცარია) 6:4 3:6 6:1; **ედინა გალოვიცი** (რუმინეთი) — ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 6:1 6:2; **ანა ჩაკვეტაძე** (8, რუსეთი) — სტეფანი დიუბუა (კანადა) 2:6 6:1 8:6; **ანაბელ მედინა-გარიგესი** (ესპანეთი) — ძი იანი (ჩინეთი) 6:3 6:0; **აგნეს სუავი** (15, უნგრეთი) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:1 6:3; **ალონა ბონდარენკო** (28, უკრაინა) — შელანი საუტი (ბრიტანეთი) 6:3 6:7 6:4; **მარტა დომაჩოვსკა** (პოლონეთი) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:1 3:6 6:4; **აგნეშკა რადვანსკა** (14, პოლონეთი) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:3 6:0; **ტატიანა პერებინისი** (უკრაინა) — პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი) 6:4 0:6 6:4; **ვირჯინი რუანო პასკუალი** (ესპანეთი) — მილაგროს სეკუერა (ვენესუელა) 6:1 6:4; **ბარბორა ზაპალოვა სტრიცოვა** (ჩეხეთი) — კამილ პინი (საფრანგეთი) 7:5 4:6 7:5; **მარიონ ბარტოლი** (11, საფრანგეთი) — საბინე ლისიცკი (გერმანია) 6:2 6:4; **ამელი მორესმო** (29, საფრანგეთი) — ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:4 6:3

ფედერერის მე-60 საბალახო


დომინიკ ჰრბატი და როჯერ ფედერერი

უიმბლდონის პირველმა სათამაშო დღემ მძიმე ბატალიების თანხლებით ჩაიარა — თითქმის ყველა ფავორიტს პირველი წრის გადასალახად. ბლომად ოფლის ღვრა დასჭირდა. მოხდა რამდენიმე მოულოდნელობაც, რომლებსაც პირველი განთესილებიც შეეწირნენ.

ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ და მოქმედი ჩემპიონით დავიწყოთ, რომელსაც უკვე ტრადიციულად ცენტრალურ კორტზე პირველი მატჩის ჩატარების პატივი ერგო. როჯერ ფედერერმაც იმედები არ გაუცრუა მაყურებელს და თავისთვის ასე ნაცნობ სცენაზე მორიგი სპექტაკლი დადგა, როცა დომინიკ ჰრბატის გადაურბინა და ბალახის კორტებზე ზედიზედ მე-60 გამარჯვება მოიპოვა. როგორც იქნა, ვიხილეთ ძველი, ლაზათიანი კომბინაციებითა და მრავალფეროვანი დარტყმების არსენალით მოთამაშე შვეიცარიელი.

ეტყობა, უიმბლდონს „მხიარული როჯერი" მართლაც საუკეთესო ფორმაში შეხვდა, რადგანაც გუშინ ფედერერისგან ვიხილეთ ყველაფერი ის, რამაც იგი მსოფლიოს პირველ ჩოგნად აქცია — ალპელი ბრწყინვალე იყო მოწოდებაზე (სლოვაკს კინკილა ბრეიკ-პოინტიც კი არ ჰქონია), სტაბილური იყო მიღებაზე (მეტოქის მოწოდების აღების 11 შანსიდან 5 გამოიყენა) და თითქმის უნაკლოდ, განსაკუთრებული აკურატულობით ჩოგნაობდა მხოლოდ (10 უნებლიე შეცდომა დაუშვა). ამის ფონზე გასაკვირი არაა, რომ ჰრბატის წვალება სულ რაღაც საათნახევარი გაგრძელდა.

ნამატჩევს სლოვაკი ფედერერს გვერდზე მიუჯდა, გამარჯვება მიულოცა და დაემშვიდობა, რადგანაც ჰრბატი სეზონის ბოლოს ჩოგბურთიდან წასვლას გეგმავს და ეს მისთვის სავარაუდოდ უიმბლდონზე ჩატარებული ბოლო მატჩი გამოდგა. ალპელმა ჩვეული თავაზიანობით საპასუხო კომპლიმენტები უძღვნა სლოვაკს, მაგრამ ნამატჩევს როჯერის მთავარი საზრუნავი შემდეგი მეტოქე, რობინ სოდერლინგი გახლდათ — ჩანს ალპელი გვარიანად უფრთხის შვედს:

„ბალახი მისი სათამაშოს სტილისთვის ზედგამოჭრილია, ამიტომ ჩემი მხრიდან მეტოქის შეუფასებლობაზე საუბარიც კი ზედმეტია. თუმც ისევე თუ ვითამაშე, როგორც დღეს, საწადელს უნდა მივაღწიო".

ფედერერისგან განსახვევებით გვარიანად იწვალეს სხვა ბობოლებმა. ალპელის ერთ-ერთ უმთავრეს მეტოქედ შერაცხულ ნოვაკ ჯოკოვიჩს დიდი თავსატეხი გაუჩინა მიხაელ ბერერმა. გერმანელი ორი სეტი თანაბრად ეომა ფავორიტს და მეორე პარტია სულაც აართვა, მაგრამ ნოვაკმა ამაზე მეტად აღარ გააჯანჯლა საქმე და მეტოქე მაინც გატეხა.

აი, ლეიტონ ჰიუიტს კი ნამდვილი ომის გადახდა მოუწია რობინ ჰაზესთან შეხვედრაში. ჰოლანდიელი ოდნავადაც არ შეუშინდა ავსტრალიელის ავტორიტეტს და გამოცდილ ოზს დიდ ხანს ეჭიდავა, ორი სეტი აართვა და ბლომადაც ანერვიულა. მაგრამ გადამწყვეტ პარტიაში ჰიუიტის გამოცდილებამ მაინც თავისი ქნა და მანაც მეორე წრეში გააღწია, მაგრამ ასეთი თამაშით მწვანე კონტინენტის ნომერ პირველი მეჩოგნე შორს ვერ გაფრინდება.

სამაგიეროდ, არ გაუმართლა ივო კარლოვიჩს — აგერ უკვე მერამდენე წელია, აყლაყუდა ხორვატი ლონდონში დიდი იმედებით ჩადის, თითქოს არც მზადყოფნის დონეს უჩივის (ორი დღის წინ ხომ ნოტინჰემში იჩემპიონა), მაგრამ უიმბლდონის კორტებზე პირველივე შეხვედრაში მარცხდება. ახლაც ეგრე იყო, თან ამჯერად ბალკანელი თითქმის სრულიად უცნობ გერმანელ სიმონ სტადლერისგან მიიჩოგნა.

ზედ კორტზე გასვლის წინ თამაშზე უარი თქვა გაელ მონფილზმა — ამ ბიჭმა ხელი რამდენიმე დღის წინ დაიზიანა, მაგრამ ბოლომდე იმედი ჰქონდა, რომ ტრავმა თამაშის საშუალებას მაინც მისცემდა. თუმც ფრანგს ლონდონიდან ამარგება მოუწია. ეს კი ვერ შეირგო კრის გუჩიონემ, რომელმაც ვერაფერი მოუხერხა მონფილზის მაგივრად მოთამაშე ილია ბოზოლიაჩს.

ნაკლებ ხმაურიანად ჩაიარა ქალთა შეხვედრებმა. ფავორიტებმა თავიანთი საქმე ხუთიანზე გააკეთეს და მეორე წრეს ნერვუტოკებლად უწიეს.

უთამაშებლობის არაფერი ეტყობოდა ანა ივანოვიჩს — ორიოდ კვირის წინ „როლან გარსოზე" გაჩემპიონებულ სერბ ლამაზმანს ხომ წლეულს ბალახზე კინკილა მატჩიც არ გაემართა. ამის მიუხედავად, ანამ ძალიან დამაჯერებელი თამაში აჩვენა და როსანა დე ლოს რიოსის მიტყეპვას საათზე ნაკლები მოანდომა.

თითქოს იოლად იხეირა სერენა უილიამსაც, მაგრამ უმცროს შავდას ივანოვიჩზე მეტი ენერგიის დახარჯვა მოუწია, რადგანაც კაია კანეპი არაფრის დათმობას არ აპირებდა. ესტონელმა პირველი სეტი ტაიბრეიკისკენაც წაიყვანა, მაგრამ სერენამ შეძლო ბრეიკის გაკეთება და საჩოგბურთო ლატარიას თავი აარიდა. მეორე პარტიაში კი ამერიკელმა კიდევ მოუმატა და ბალტიისპირელი მთლად უშანსოდ დატოვა.

წარმატებით დაიწყეს უიმბლდონზე გამოსვლა ჩოგბურთის ამომავალმა ვარსკვლავებმა — ანასტასია პავლუჩენკოვამ და ურსულა რადვანსკამ. პირველმა თითქმის თავისივე ასაკის, მაგრამ შედარებით უფრო გამოცდილ ალიზ კორნეს დაძაბულ ჯახში მოუგო. რადვანსკამ (კარგად ცნობილი აგნეშკას უმცროსი და) კი, რომელმაც აქ შარშან იუნიორებში იჩემპიონა, გამოცდილ კლარა ზაკოპალავას გადაურბინა და მთლიანობაში სულ რაღაც ხუთი გეიმი დაუთმო.

კახა ლომაშვილი

სტოუნერმა შარშანდელი გაიხსენა

ჰატარა კლასის ჰატარა რედინგი



კეისი სტოუნერი

შარშანდელი ფანასტიკური სეზონის შემდეგ, როდესაც ყველას ერთი თავით აღმატებოდა, ავსტრალიელმა მოტომრბოლმა კეისი სტოუნერმა წლევანდელი ჩემპიონატიც გამარჯვებით დაიწყო, ყატარის დიდი პრიზი მოიგო და ამის შემდეგ კი მისი საქმეები უკან-უკან წავიდა. პირველ პოზიციებზე ჯერ დანიელ პედროსასა და ხორხე ლორენცოს ესპანური დუეტი გამოვიდა, შემდეგ კი მრავალგზის ჩემპიონმა, იტალიელმა ვალენტინო როსიმ გაიხსენა დიადი წლები, ზედიზედ სამი ეტაპი მოიგო და სტოუნერი ყველას მიავიწყდა.

არადა, კეისი ჯერაც „სამეფო“, ანუ მოტოჯიპის კლასის მსოფლიოს ჩემპიონია და მან ნელ-ნელა დაიწყო აღმასვლა — იტალიაში მესამე იყო, ესპანეთში მეორე და აი, დონინგტონ-პარკის ავტოდრომზე ბრწყინვალე სარბოლო უიქენდი ჩაატარა — კვალიფიკაციაც მოიგო და რბოლა პელოტონის თავში მყოფმა რომ დაიწყო, ახლოს აღარავინ გაიკარა.

ამ გამარჯვებით ავსტრალიელმა გენერალურ კლასიფიკაციაში ლორენცოს გადაასწრო და მესამე ადგილზე აინაცვლა. მასზე წინ როსი და პედროსა არიან, რომლებმაც დონინგტონში, შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს. იტალიელი „დოქტორისთვის“ ბრიტანული პოდიუმი ზედიზედ მეშვიდე იყო, ანუ პირველ, ყატარულ ეტაპს თუ არ ჩავთვლით, როსი მუდამ პუდიუმზეა და კვლავაც რჩება ჩემპიონობის უმთავრეს კანდიდატად.

„საშუალო“, ანუ 250 კუბური სანტიმეტრი ძრავების მქონე მოტოციკლების კლასში უმძაფრესი ბრძოლა გაჩაღდა ჩემპიონატის ლიდერებს, ფინელ მიკა კალიოსა და იტალიელ მარკო სიმონჩელის შორის და ამ ბრძოლაში იღბალი ფინელის მხარეს იყო.

„უმცროს“, 125-იანთა კლასში კი სრულიად ბრიტანეთის გასახარად იმარჯვა 16 წლის სკოტ რედინგმა და გახდა 1986 წლის შემდეგ პირველი მასპინძელი, რომელმაც დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი მოიპოვა.

კახა ლომაძე

მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში
VIII ეტაპი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი. დონინგტონი, 22 ივნისი

მოტო GP (30) წრე

1. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, „დუკატი“)	44 წთ 44,982 წმ
2. ვალინტინო როსი (იტალია, „იამაჰა“)	44.50,771
3. დანიელ პედროსა (ესპანეთი, „ჰონდა“)	44.53,329
4. კოლინ ედვარდსი (აშშ, „იამაჰა“)	44.57,660
5. ანდრეა დოვისიოზო (იტალია, „ჰონდა“)	44.59,783

საერთო ჩათვლა: 1. როსი 162 ქულა; 2. პედროსა 151; 3. სტოუნერი 117; 4. ხორხე ლორენცო (ესპანეთი, „იამაჰა“) 104; 5. ედვარდსი 82

250 კბ/სმ (28 წრე)

1. მიკა კალიო (ფინეთი, KTM)	42 წთ 14,410 წმ
2. მარკო სიმონჩელი (იტალია, „გილერა“)	42.14,763
3. ალვარო ბაუტისტა (ესპანეთი, „აპრილია“)	42.15,647
4. ექტორ ბარბერა (ესპანეთი, „აპრილია“)	42.23,285
5. ტომას ლუტჰი (შვეიცარია, „აპრილია“)	42.25,769

საერთო ჩათვლა: 1. კალიო 131 ქულა; 2. სიმონჩელი 123; 3. ალექს დებონი (ესპანეთი, „აპრილია“) 101; 4. მატია პაზინი (იტალია, „აპრილია“) 98; 5. ბარბერა 82

125 კბ/სმ (26 წრე)

1. სკოტ რედინგი (ბრიტანეთი, „აპრილია“)	41 წთ 39,472 წმ
2. მიშელ დიმელიო (საფრანგეთი, „დერბი“)	41.44,796
3. მარკ მარკესი (ესპანეთი, KTM)	41.45,278
4. სერხიო გადეა (ესპანეთი, „აპრილია“)	41.53,462
5. სიმონე კორსი (იტალია, „აპრილია“)	41.56,327

საერთო ჩათვლა: 1. დიმელიო 132; 2. კორსი 109 ქულა; 3. შტეფან ბრადლი (გერმანია, „აპრილია“) 77; 4. ნიკოლას ტეროლი (ესპანეთი, „აპრილია“) 75; 5. პოლ ესპარგარო (ესპანეთი, „დერბი“) 75

ვლასიჩი დაბლიდანაც ყველაზე მაღალია

ფრანგულმა ქალაქმა ანსიმ ამ უქმეებზე მძლეოსნობაში ევროპის თასს უმასპინძლა. მძლეოსნობა სპორტის ინდივიდუალური სახეობა კია, მაგრამ ეს ყოველწლიური ტურნირი გუნდური პრინციპით ტარდება და სხვადასხვა სახეობაში ნაჩვენები შედეგები ჯამდება. ევროპის თასზე მონაწილეობს კონტინენტის რვა საუკეთესო ქვეყანა კაცთა და რვა საუკეთესო ქვეყანა ქალთა ზოგადი შედეგების მიხედვით და ყველა ქვეყანას ყველა სახეობაში თითო რჩეული სპორტსმენი გამოჰყავს.

ანსიში კაცთა შორის გამარჯვება ბრიტანეთს დარჩა, ქალებში კი აგერ ზედიზედ მეთოთხმეტედ მოიგეს რუსებმა, რომლებსაც მძლეოსნობის თითქმის ყველა დისციპლინაში ვარსკვლავი მოეძებნებათ და მუდამ ფავორიტებად ითვლებიან.

ბრიტანელ კაცებს ადრე სამჯერ მოეგოთ ევროპის თასი და ყოველთვის ძლიერი ნაკრები ჰყავდათ, მაგრამ ბოლო წლებში პოზიციები დათმეს და 2000 წლის მერე ჩემპიონობას ვეღარაფრით ახერხებდნენ. წლეულს კი მათ სამი დისციპლინა მოიგეს, ისევე როგორც ესპანელებმა, მაგრამ სამაგიეროდ წაგებულებშიც რიგიანი ადგილები დაიკავეს, ჯამში 112 ქულა დააგროვეს და მოულოდნელად მეორე ადგილზე გასულ პოლონელებს 14 ქულით აჯობეს.

კარგი შედეგი ჰქონდა ბრიტ სამხტომელ ფილიპს იდოუს, ვინაც სამხტომში ყველა ქვეყნის წარმომადგენელი უკან მოიტოვა და ბრიტანელთა ნაკრებს 8 ქულა მოუტანა. იდოუ ყველაზე თუ არა, ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება კაცთა სამხტომში და პეკინის ოლიმპიადისთვის ოქროს გეგმავს. ანსიში მისი საუკეთესო შედეგი 17,46 მეტრი გახლდათ, თუ ამ წითელთავა ზანგმა მეტი მოინდომა და გამარჯვების შემდეგ წაიტრაბახა, ერთი მეტრით შორს გადახტომაც შემიძლიაო. ნამეტანი კი მოუვიდა, მისმა მზემ. ისე, მსოფლიოს რეკორდსაც გადასცდებოდა, რომელიც 1995 წელს მისმა ლეგენდარულმა თანამემამულემ ჯონათან ედვარდსმა დაამყარა, როცა 18,29 მეტრზე ისკუპა. ფილიპსს ურჩევნია, ჯერ გადახტეს და ჰოპლა მერე დაიძახოს. არადა, ტრაბახას სახელი გაუვარდება.

ჩემპიონ ბრიტანელებს ასევე მაქსიმუმი, 8-8 ქულა მოუტანეს 200 მეტრზე მორბენალმა მარლონ დევონიშმა (20,52 წამი) და სამი კილომეტრის მომგებმა ენდი ბიდლიმ. სხვა გამარჯვებულებიდან გამოსარჩევია ესპანელი ბადროს მტყორცნელი მარიო პესტანო, რომელმაც სამჯერ დასცა ბადრო 68 მეტრს იქით და ერთხელაც ვერ მიაწვდინა თავისსავე კუთვნილ ესპანეთის რეკორდს, რომელიც სულ ახლახან დაამყარა 68,61 შედეგით. ანსიში მისი საუკეთესო მაჩვენებელი იყო 68,34, რითაც მან სამ მეტრზე მეტით აჯობა უახლოეს მდევარს, გერმანელ რობერტ ჰარდინგს.

როგორც ზევით მოგახსენეთ, ქალებში რუსებმა იმარჯვეს, რომელთაც ჯამში 122 ქულა დააგროვეს და 13,5 ქულით აჯობეს მეორეზე გასულ უკრაინელებს. რუსთაგან გამოსარჩევია სიგრძეზე მხტომელი ლუდმილა კოლჩანოვა, ვინაც 7,04 მეტრზე ისკუპა და სეზონის რეკორდიც დაამყარა. სახსენებელია გერმანელი სიმაღლეზე მხტომელი არიან ფრეიდრიხიც, რომელიც 2,03 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო.

სტამბოლში კი ევროპისა თასის პირველი ლიგის B ჯგუფში ხორვატმა სიმაღლეზე მხტომელმა ბლანკა ვლასიჩმა გამოიჩინა თავი. ხორვატიას საზოგადოდ ვერ ჰყავს ძლიერი მძლეოსნები და რეალურად მესამე ლიგაშიც ამიტომ გამოდის, მაგრამ სამაგიეროდ ერთი ჰყავს და მართლა ვარსკვლავი. სტამბოლში ვლასიჩმა 2,06 მეტრი დაძლია და ორი სანტიმეტრით გაუუმჯობესა სეზონის საყოველთაო რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა.

ვანო კოტიკაშვილი



ბლანკა ვლასიჩი

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიახესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge